ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 3 დეკემბერი, 2009 №311 (5052) ფასი: 30 თეთრი

როგორ აღმოჩნდნენ გათავისუფლებული ოსები ჩვენს ხელში?


გვ.5

სააკაშვილისთვის მერის პოსტის დაკარგვა ხელისუფლების დაკარგვას ნიშნავს

გვ.4

ყველა ოპოზიციონერს მოვუწოდებთ, არ მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა!

ოსებმა ორი ქართველი ბავშვი გაათავისუფლეს

ბაკაშვილი შედეგით უკმაყოფილოა

გვ.2

პროკურატურამ ექიმი დააკავა

გვ.3

გვ.5

პრაიმერის ჩატარებას რამდენიმე ხარვეზი აქვს

გვ.6

მანანა არჩვაძე: „სახალხო დამცველმა ცოტნეს მონახულება არ იკადრა“

რა დოკუმენტი გადასცა კოლხურ კოშკში კოვალენკომ ცოტნე გამსახურდიას?


გვ.2

ყოფილი „ნაციონალი“ შალამბერიძე ხელმოწერების შეგროვებას იწყებს

სახალხო დამცველს კანონს პარლამენტი არღვევინებს

გვ.3

გვ.2

შალვა რამიშვილი ახალი სატელევიზიო პროექტების განსახორციელებლად ემზადება

ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამკვირვებლების ყოფნა აუცილებელია

გვ.7

ედპ წინასაარჩევნოდ საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის

გვ.3

8 მოსკოვში ლადო გუდიაშვილი გამოფინეს

2 3 დეკემბერი გია ჭანტურიას მკვლელობის დღეა

6 რუსეთთან კაპიტულანტური შეთანხმება ფორმდება?

8 ირაკლი კაკაბაძე საერთაშორისო პენკლუბმა დააჯილდოვა

ყოფილი „ნაციონალი“ შალამბერიძე ხელმოწერების შეგროვებას იწყებს



დედაქალაქის მერის და საკრებულოს მაჟორიტარულ არჩევნებისთვის 50 პროცენტიანი ბარიერის დაწესებაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის მოთხოვნით, ყოფილი „ნაციონალი“ ალექსანდრე შალამბერიძე ხელმოწერების შეგროვებას იწყებს.

ალექსანდრე შალამბერიძემ 30000 ამომრჩევლის ხელმოწერის შესაგროვებლად კონსტიტუციით განსაზღვრული პროცედურების დასაწყებად განცხადებით პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს დღეს მიმართა.

ამასთან, შალამბერიძე ბარიერის 50 პროცენტამდე გაზრდას ითხოვს საკრებულოს მაჟორიტარულ არჩევნებზეც.

როგორც შალამბერიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მაჟორიტარულ არჩევნებში, დაუშვებელია დღეს მოქმედი საკანონმდებლო ნორმის 30%-იანი ბარიერის დატოვება და ის აუცილებლად უნდა შეიცვალოს 50%-ით.

— მაჟორიტარულ არჩევნებზე ბარიერის 50%-მდე აწევა შესაძლებლობას მოგვცემს სრულყოფილად ავასახოთ ამომრჩევლების აზრი ადგილობრივ სახელისუფლებო სტრუქტურებში, — აღნიშნა შალამბერიძემ.

შესაბამისი საკონმდებლო ინიციტივის პარლამენტში წარსადგენად, შალამბერიძეს 30 000 ხელმოწერა სჭირდება.

ინტერპრესნიუსი

ბათუმში ილია ჭავჭავაძის ძეგლი სხვებად გადაიტანეს

ბათუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის წინ, ილია ჭავჭავაძის ძეგლის დემონტაჟი განხორციელდა. ძეგლის გადატანა გუშინწინ დილით მოხდა. გამოთავისუფლებულ ადგილას სკვერის მოწყობა იგეგმება. თავად ძეგლი თეატრის უკანა მხარეს დაიდგმება, სადაც შესაბამისი საპუშაოები უკვე მიმდინარეობს.

აჭარაში ილია ჭავჭავაძის ძეგლის გადატანას პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები აპროტესტებდნენ, თუმცა ქალაქ ბათუმის მერიამ არც ის საზოგადოებრივი გამოკითხვა გაითვალისწინა, რომელიც ძეგლის ადგილის შეცვლას უარყოფითად აფასებდა.

ბათუმის ვიცე-მერის ავთანდილ დარჩიას განცხადებით, საზოგადოებრივი გამოკითხვად არ შეიძლება ჩათვლილიყო მოსახლეობის ინფორმირება ტელევიზიითა და პრესის მეშვეობით. დარჩიამ ძეგლის არქიტექტორის ვახტანგ დავითაიას შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ იგი ადგილმონაცვლეობის საკითხზე თანხმობას გამოთქვამს.

ბათუმის ვიცე მერი ძეგლის მალულად გადატანის ფაქტს უარყოფს. მისი თქმით, დილით მისი დემონტაჟი იმ მიზეზის გამო განხორციელდა, რომ ძეგლის გადატანა მძიმეწონიანი ტექნიკის გამოყენებას საჭიროებდა.

მედიანიუსი

ოსებმა ორი ქართველი ბავშვი გაათავისუფლეს

სააკაშვილი შედეგით უკმაყოფილოა

თეა მარწყვი ე

ოქტომბრის თვეში ოსმა სეპარატისტებმა 4 ქართველი მოზარდი დააკავეს. მათი გათავისუფლების მოთხოვნით საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ მიმართა სეპარატისტებს. კოკოითის მთავრობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული მხარის მოთხოვნა არ დაკმაყოფილა.

ამის შემდეგ ჩვენმა ხელისუფლებამ საქმეში უკვე საერთაშორისო ორგანიზაციები ჩართო. დაკავებული მოზარდები წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოინახულეს. მათვე ჩამოუტანეს დაკავებულთა ოჯახის წევრებს შვილების წერილები.

ოსებს ქართველი მოზარდების გათავისუფლება რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ მოსთხოვა. პაატა დავითიან კი კოკოითიანელებს კაკვასიური ადათი შეახსენა. მისი თქმით, კაკვასიურ ადათ-წესებს არღვევს ის, ვინც ბავშვებზე ხელს აღმართავს.

ცოტა ხნის წინ დაკავებულ ბავშვებთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა კოკოითის წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა. ულვაშებმოპარსულმა ჩოჩიევმა ქართველებს ტყვეთა გაცვლა შესთავაზა.

ეს განცხადება ბორის ჩოჩიევმა გაზეთ „იუჟნაია ოსეტიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. ის ქართულ მხარეს ტყვეების გაცვლას პრინციპით ყველა-ყველაზე სთავაზობდა.

ცხინვალი კარგა ხანია ამტკიცებს, რომ ქართველებს რამდენიმე ოსი ჰყავთ დატყვევებული; ამის შესახებ პირველი განცხადებები აგვისტოს ომის შემდეგ გაკეთდა.

ომი ახალი დასრულებული იყო, რომ ოსები ქართველებთან კავშირზე გამოვიდნენ. ისინი დაკარგული ახლობლების მოძებნას ითხოვდნენ. სანაცვლოდ კი ცხინვალში დატყვევებული ქართველების მოძებნის პირობას დებდნენ.

დაკარგულთა და დალუპულთა მოძიებაში ოსებმა დახმარება პაატა ზალარიშვილსაც სთხოვეს. აფხაზეთის ომის დროს ზალარიეშვილი ტყვეთა გაცვლის კომისიას ედგა სათავეში. ის საკმაოდ დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს. მაშინ ზალარიეშვილმა ამის შესახებ ხმამაღლა გააკეთა განცხადება. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაქცია არ ყოფილა. არადა, იმ დროისთვის საქართველოს ბევრი მოქალაქე ოსების ტყვეობაში იმყოფებოდა.

ჩვენებურებს არც ჩოჩიევის შეთავაზება მოეწონათ. მის საპასუხოდ განაცხადეს, რომ ქართველების ტყვეები არ ჰყავთ. აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ ნაციონალები გუშინაც ბევრს საუბრობდნენ.

ქართველი მოზარდების სანაცვლოდ რამდენიმე ოსი პატიმრის გათავისუფლება რომ იგეგმებოდა, ეს ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. ქართული მხარე ამ ფაქტს არ ადასტურებდა.

გუშინ კი ეროვნებით ოსი 5 პატიმარი გაათავისუფლეს. განთავისუფლებული არიან ლავრენტი კაზიევი, იბრაგიმ ლალიევი, ვლადიმირ ელოევი, იაკობ ტხოვი და ვეფხ ტხოვი.

ცხინვალის მტკიცებით, ისინი ქართველებმა მოიტაცეს. ქართული მხარე კი ამტკიცებს, რომ ისინი დამნაშავეები იყვნენ და მხოლოდ ამიტომ დააკავეს.

5 პატიმრის გათავისუფლებას ცხინვალი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი დაკავებული მოზარდების გათავისუფლებას აპირებდნენ.

დაკავებული მოზარდების გათავისუფლებაზე ამ დღეებში ბევრი იმუშავა თომას ჰამმერბერგმა. ეს უკანასკნელი ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარია.

ის ბოლო დღეების განმავლობაში რამდენჯერმე ჩავიდა ცხინვალში. პირველი ვიზიტი წარუმატებელი გამოდგა. თავიდან ის ცხინვალში არ შეუშვეს. ამის გამო დიდი ხმაური ატყდა. ამის შემდეგ ოსები ევროსაბჭოს კომისრის შეშვებას დათანხმდნენ. ჰამმერბერგმა დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან რამდენიმე შეხვედრა გამართა. წამოსულისას კი ოსებს დაუბარა, ისევ დავბრუნდებიო. ის ცხინვალში ამის შემდეგ კიდევ ორჯერ ჩავიდა. კოკოითის სამფლობელოში ევროსაბჭოს კომისარი გუშინაც ჩავიდა.

თომას ჰამმერბერგი ცხინვალში გამართულ სასამართლო პროცესსაც დაესწრო. ქართველი მოზარდების სასამართლო სწორედ გუშინ შედგა. სასამართლო დღის პირველ საათზე დაიწყო.

იქაურ მოსამართლეს ჯერ მანძილი ხეირიანად არ ჰქონდა წამოხურული, რომ თბილისში პროგნოზები გააკეთეს. ჩვენი ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ოსები დაკავებულ მოზარდებს გაათავისუფლებდნენ.

დაკავებული მოზარდების გათავისუფლებასთან დაკავშირებით პროგნოზი თემურ შაშიაშვილმაც გააკეთა, რომელსაც როგორც თავად აცხადებს, ამ საკითხთან მოლაპარაკებები ჰქონდა დაწყებული.

შაშიაშვილს ქართველი მოზარდების გათავისუფლებაში დახმარებას მსოფლიოში ცნობილი დირიჟორი ვალერი გერგიევიც დაპირდა. მოზარდების გათავისუფლებასთან დაკავშირებით კოკოითთან მოლაპარაკებები საქართველოდან გაგდებულმა ბიზნესმენმა გორა ძასოხოვმაც დაიწყო.

როგორც შაშიაშვილი ამბობს, ის სწორედ ამ საკითხის მოსაგვარებლად ჩავიდა ცხინვალში. ამ დღეებში კი მასთან შეხვედრას თემურ შაშიაშვილი აპირებს. სასამართლო პროცესი ჯერ დაწყებულიც კი არ იყო, შაშიაშვილს ძასოხოვისგან მესიჯი რომ მოუვიდა.

ამ მესიჯის შინაარსი შაშიაშვილმა მედიასაც გააგონო. ბავშვების გათავისუფლებას ბევრი დაიბრალებს, მაგრამ შემოქმედმა ხომ იცის, როგორ მოხდა ეს, — დაახლოებით ასე ჟღერს ეს მოკლე ტექსტური შეტყობინება.

ამ მესიჯმა შაშიაშვილს აფიქრებინა, რომ მოზარდების გათავისუფლება თითქმის გადაწყვეტილი იყო. ეს პროგნოზი სანახევროდ გამართლდა. ორი ქართველი მოზარდი გუშინ გათავისუფლეს.

ქართველი მოზარდების სასამართლოს ნელი თიბილავა უძღვებოდა. როგორც საგანგებო „რეგნუმი“ იტყობინება, მოზარდებმა დანაშაული ნაწილობრივ აღიარეს. ოსები ჩვენებურ ბავშვებს სამხრეთ ოსეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთაში ედავებიან. ამის გარდა ასაფეთქებელი მოწყობილობის შეჩანის მცდელობაშიც სდებენ ბრალს.

„რეგნუმის“ ცნობით ლევან ხმიადაშვილს და ვიქტორ ბუმუკურს 1 წლით პატიმრობის აღკვეთა მოუსაჯეს. მოსამართლის გადაწყვეტილებით ეს ბავშვები მომდევნო ერთ წელს საერთო რეჟიმის კოლონიაში გაატარებენ.

რაც შეეხება გიორგი რომელაშვილს და ალეკო ცაბაძეს მათ მოსამართლე თიბილავამ 1 წლით პირობითი სასჯელი აკმარა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

თომას ჰამმერბერგი სასამართლოს განაჩენით უკმაყოფილო დარჩა. როგორც „რეგნუმს“ კოკოითის წარმომადგენლებმა აუწყეს, ის ცხინვალის დატოვებას არ აპირებს მანამ, სანამ დანარჩენ ქართველებსაც არ გაათავისუფლებენ.

ქართველი მოზარდების გათავისუფლებას გუშინვე გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილი. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მისსალმება ტარძნისიდან გატაცებული ორი მოზარდის, გიორგი რომელაშვილისა და ალეკო ცაბაძის გათავისუფლებას, თუმცა, შეშფოთებულია, რომ კიდევ ორი მოზარდი უკანონო პატიმრობაში რჩება.

ამის შესახებ განცხადება გუშინ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გაკეთა. მისი თქმით, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეს არის საოკუპაციო რეჟიმის არაადამიანური გადაწყვეტილება და საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს მუშაობას, რათა ბავშვები გათავისუფლდნენ.

მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ორი ბავშვის გათავისუფლება, რომელთაც პირობითი სასჯელი შეეფარდათ, არის საერთაშორისო თანაქეგობრობისა და საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგი, რისთვისაც პრეზიდენტი მადლობას უხდის ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს საქართველოში ჰანსიორგ ჰაბერს და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს თომას ჰამარბერგს.

როგორც მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, პრეზიდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოზარდების უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი საოკუპაციო რეჟიმისაგან ეთნიკური წმენდის მსხვერპლი გახდა.

საქართველომ რუსეთს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში მიწვეულ შვეიცარიის კონფედერაციის ელჩის მოადგილე შლიუმტურს რუსეთის მხარისთვის მისაწოდებლად გადაეცა საპროტესტო ნოტა რუსეთის მიერ 2009 წლის ნოემბრის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ, — აცნობეს მედიანიუსს საგარეო უწყებიდან.. გარდა ამისა შლიუხტერს გადაეცა საპროტესტო ნოტები მოსკოვის მილიციის თანამშრომლების მიერ 2009 წლის 23 ნოემბერს საქართველოს მოქალაქის ე. ღურწკაიას მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით და სოფ. პერევედან 2009 წლის 29 ნოემბერს საქართველოს მოქალაქის რ. მაკასარაშვილის გატაცების შესახებ.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა, რომ მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალი მცდელობისა, რუს ოკუპანტებსა და მათ მარიონეტებს, დღემდე ტყვეობაში ჰყავთ საქართველოს ოთხი არასრულწლოვანი მოქალაქე.

გამოითქვა საქართველოს მხარის მკაცრი პროტესტი, რუსეთის დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს კონსტიტუციის, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების უხეშ დარღვევას.

მედიანიუსი

შალვა რამიშვილი ახალი სატელევიზიო პროექტების განსახორციელებლად ემზადება

შალვა რამიშვილი ახალი სატელევიზიო და შოუპროექტების განსახორციელებლად ემზადება.

როგორც „პირველთან“ საუბრისას შალვა რამიშვილმა განაცხადა, ის ტელეკომპანია „იმედზე“ მოულბფილმ „სამსონაძეებზე“ მუშაობას გააგრძელებს, მაგრამ ახალ სატელევიზიო თუ შოუ-პროექტების განხორციელებას სხვა ტელევიზიებში გეგმავს.

ამასთან, რამიშვილმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია პოლიტიკაში, კერძოდ „რესპუბლიკურ პარტიაში“ გადანაცვლების გეგმის არსებობის თაობაზე.

— სასიამოვნოა ჩემ მიმართ საზოგადოების ასეთი ყურადღება. მე ახლა სანადიროდ მივდივარ. ხვალ სად წავალ, არ ვიცი, მაგრამ კატეგორიულად უარვყოფ იმას, რომ პოლიტიკაში ვგეგმავ წასვლას. ჩემი გეგმები ისევ ტელეპროექტებსა და შოუებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ამ ეტაპზე ეს პროექტები „მაესტროს“ არ უკავშირდება, — განაცხადა საუბრის ბოლოს რამიშვილმა. **პირველი**

ვ ლექემბერი გია ჭანტურიას მკვლელობის დღეა

დღეს 15 წელი სრულდება 80-იანი წლების ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გიორგი ჭანტურიას მკვლელობიდან. ხვალ 14 საათზე ეროვნულ-დემოკრატები ქაშუეთის ეკლესიის ეზოში მის საფლავთან პატივს მიაგებენ გია ჭანტურიას ხსოვნას, იქვე გაიმართება სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.

— ბოლო ათწლეულების ქართულმა პოლიტიკურმა რეალობამ კიდევ უფრო ნათელი გახადა, რომ გია ჭანტურიას მკვლელობა იყო კარგად გამიზნული პოლიტიკური აქტი, რომელმაც მრავალი წლით უკან გადახვრა საქართველოს, ერთის მხრივ ეროვნულ და მეორეს მხრივ დასავლეთისაკენ მავალ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი. ჩვენს უახლეს ისტორიაში გია ჭანტურია იყო ყველაზე მზარი პოლიტიკური ფიგურა, ძლიერი პოლიტიკური პარტიით და მკვეთრად გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკური ორიენტირებით, ეს იყო წმინდა დასავლური ტიპის პოლიტიკური, რომელიც უალტერნატივო იყო იმ ბრძოლაში, რასაც ეჩქვა ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, დასავლური დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცება და საქართველოს პოლიტიკური ვექტორის ცალსახა გადატანა ჩრდილოეთიდან ევროატლანტიკური სივრცისკენ. ქართულმა საზოგადოებამ, მომავალმა თაობებმა კარგად უნდა გააცნობიერონ ასეთი მოვლენები, დღეს არავისთვის დაფარული აღარაა, რომ გია ჭანტურია იყო რუსული პოლიტიკის მსხვერპლი, რადგან ის და მისი პოლიტიკური ძალა საქართველოში რუსული ინტერესების ყველაზე დიდ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა, — განუცხადეს „მედიანიუსს“ ეჯაშ-ში.

გია ჭანტურია 1994 წელს თბილისში, მისივე საცხოვრებელ კორპუსთან ჩაცხრილეს. იგი ადგილზე დაეღუპა, ხოლო მისი მეუღლე ირინა სარიშვილი მძიმედ დაიჭრა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვეიშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მალლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალის პირუხტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

ედპ წინასაარჩევნოდ საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას პოლიტიკის არალეგალურ დაფინანსებასა და სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების აკრძალვას ითხოვს.

როგორც გუშინ პრესკონფერენციაზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გოგნიაშვილმა განაცხადა, უნდა აიკრძალოს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებებში საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობა. ასევე, საარჩევნო სუბიექტებისა და მათი წარმომადგენლების მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა; უნდა აეკრძალოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი საკომუნიკაციო და საბრანსპორტო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება.

ედპ მიიჩნევს, რომ ამ ნორმების დაცვით პოლიტიკური კამპანიის ჩატარება უფრო თანაბარ და დემოკრატიულ საარჩევნო გარემოს შექმნის.

აღნიშნულ ინიციატივას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პარასკევს განიხილავენ. **მედიანიუსი**

პროკურატურამ ექიმი დააკავა

გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე შიდა ქართლის საოლქო პროკურატურამ ექიმი დააკავა

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ 2009 წლის 21 ნოემბერს, სააქციო საზოგადოება „ხაშურის მრავალპროფილიან საავადმყოფოში“ ექიმ ნინო ჯობაძის მიერ გლანდების ოპერაციის ჩატარების დროს მოულოდნელად გარდაიცვალა პაციენტი — 1980 წელს დაბადებული ნანა ეფრემის ასული სიდიანი.

საქმეზე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. დანიშნულია ასევე ბიოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზები, იმის დასადგენად, თუ რა ხასიათის და რაოდენობის მედიკამენტები იქნა გამოყენებული ოპერაციის დროს, რა ჯგუფისა და რეზუსის სისხლი გადაესხა გარდაცვლილ ნ. სიდიანს.

დაზარალებულად ცნობილი იქნა და დაიკითხა ნ. სიდიანის მეუღლე თეიმურაზ კაპანაძე. ასევე მოწმის სახით დაიკითხა ოპერაციის მონაწილე სამედიცინო პერსონალი.

ექიმ ნინო ჯობაძის ჩვენებით კი დადგენილია, რომ 2009 წლის 21 ნოემბერს მან ჩაატარა ნანა სიდიანის გლანდების ოპერაცია, ანუ „ტონზილექტომია“. ოპერაციის ჩატარებამდე პაციენტ ნ. სიდიანს ააღებინა მხოლოდ სისხლის საერთო ანალიზი და „კოაგულოგრამა“ არ გაითვალისწინა და არ ააღებინა შარდის საერთო ანალიზი და კარდიოგრამა, რაც მას ევალებოდა საავადმყოფოს სამედიცინო სტანდარტის შესაბამისად. ოპერაციის მსვლელობისას მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფი რამდენჯერმე ცუდად გახდა, ექიმმა მაინც გააგრძელა ოპერაცია. საერთო ჯამში, ავადმყოფს დაენყო მწვავე სისხლდენა და გარდაიცვალა.

2009 წლის 1 დეკემბრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნანა სიდიანის სიკვდილის მიზეზია მწვავე სისხლნაკლებობა განვითარებული კისრის სისხლძარღვებიდან სისხლდენის შედეგად. ხოლო იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რამდენად სწორად იქნა ჩატარებული ოპერაცია „ხაშურის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს“ მედპერსონალის და კერძოდ, ექიმი- ოტორინოლარინგოლოგი ნინო ჯობაძის მიერ, საჭიროა კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. ასევე მისაღებია ბიოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნები.

ნინო ჯობაძეს წარედგინა ბრალდება დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით და იგი დაკავებულია ბრალდებულის სახით. პროკურატურა შესულია სასამართლოში შუამდგომლობით ნინო ჯობაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით, დაპატიმრების შეფარდების მოთხოვნით. **პრაიმ-ნიუსი**

სახალხო დამცველს კანონს პარლამენტი არღვევინებს

ნანა მიშელაშვილი

2009 წლის პირველი ნახევრის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა პარლამენტს, სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლოს მოუწევს. ეს ანგარიში ყოფილმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მოამზადა, თუმცა, მისი წარდგენა ახალ ომბუდსმენს მოუწევს.

პარლამენტს ჯერ კიდევ განსახილველი აქვს გასული წლის მეორე ნახევრის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიში. არღვევს თუ არა პარლამენტი კანონს და რატომ არ ახილავენ დეპუტატები 2008 წლის მეორე ნახევრის შესახებ ანგარიშს?

„ახალი თაობა“ დეპუტატ დემეტრე ლორთქიფანიძეს ესაუბრა.

— თქვენ და გია არსენიშვილი ხართ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის (ე.წ.უდო-ს) წევრები. თქვენი უფლებამოსილების ვადა დეკემბერში იწურება. როგორ ფიქრობთ, უმცირესობა ისევ თქვენს კანდიდატურას წარადგენს ამ კომისიაში?

— დეკემბრის ბოლო რიცხვებში ახალი კანდიდატურების დასახელება მოხდება, როგორც საპარლამენტო უმრავლესობიდან და უმცირესობიდან, ასევე არასამთავრობო სექტორიდან. მანამდე, დეკემბრის შუა რიცხვებში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ჰუმანური აქტი. 23 ნოემბერს გამოცემული ამნისტიით — 260-ე მუხლის პირველ ნაწილით და 273-ე მუხლით მსჯავრდებულ პირებს, რომელთაც გაუნახევრდათ სასჯელი, უდოს კომისია იმსჯელებს, რომ მათი საქმეები გადაეცეს სასამართლოს მათი გათავისუფლების მიზნით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც მინიმუმ, აღნიშნული აქტი შეეხება 200-ზე მეტ მსჯავრდებულს.

— თქვენი კანდიდატურა ისევ იქნება თუ არა წარდგენილი კვლავ ე.წ. უდოს კომისიაში?

— უმცირესობა 2 ფრაქციისგან შედგება, ამჟერად „ქრისტიან-დემოკრატების“ ჯგუფია, მე ვარ ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ წევრი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა პოზიციას დააფიქსირებენ „ქრისტიან-დემოკრატები“.

— ე.ი. მათ ეკუთვნით ახლა კომისიაში წევრი?

— დიახ.

— შესაძლოა, რომ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ თქვენ დაგასახელონ კომისიის წევრად თუ აუცილებლად მათი ფრაქციის წევრი უნდა იყოს დასახელებული?

— სამართლებრივად შესაძლებელია, ვინაიდან ეს კაცშირშია ამ ნდობასთან, რომელსაც უცხადებს ან არ უცხადებს უმცირესობაში შემავალი ერთი ფრაქცია მეორეს. ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“ ამაზე იმსჯელებენ და თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას.

— 2008 წლის მეორე ნახევრის შესახებ ანგარიში პარლამენტს მოსმენილი არა აქვს. ეს ანგარიში სოზარ სუბარმა წარმოადგინა პარლამენტში, თუმცა, უფლებამოსილების ვადა ისე ამოიწურა, რომ ანგარიში განიხილული არ ყოფილა. რატომ არ მოისმინეთ ანგარიში, სოზარ სუბარის მოსმენა არ სურდა პარლამენტს?

— 2008 წლის მეორე ნახევრის შესახებ ანგარიში, ისევე როგორც 2009 წლის პირველი ნახევრის შესახებ ანგარიში წარმოდგენილია სოზარ სუბარის მიერ. სხვა საკითხია, ვინ გააკეთებს მოხსენებას 2009 წლის პირველი ნახევრის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. ეს მისია წლად ხვდა დღეს მოქმედ სახალხო დამცველს გიორგი ტუღუშს. არსებობს ორგანული კანონის იმპერატიული მოთხოვნა, რომ სახალხო დამცველი წელიწადში ორჯერ წარმოადგენს გაწეული მუშაობის შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ 2008 წლის მეორე ნახევარი არ იქნება წარმოდგენილი, ეს არის უხეში დარღვევა სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის. როდესაც გიორგი ტუღუში წარმოადგენს 2009 წლის პირველი ნახევრის შესახებ ანგარიშს, მის მიმართ ეს კითხვა დასმული იქნება. 2008 წლის მეორე ნახევარი განსაკუთრებული მნიშვნელობის ანგარიშია, რადგან მასში ასახულია აგვისტოს ომის მოვლენები, დევნილი მოსახლეობის სვე-ბედი. ანგარიშში 17 ფურცელი ეთმობა დევნილების მდგომარეობას. სოზარ სუბარმა 2008 წლის დეკემბერში წარმოადგინა 2007 წლის მეორე ნახევრის შესახებ ანგარიში, სადაც აღნიშნული იყო მეტად შემზარავი ფაქტი. ვეულისხმობ პენიტენციალურ სისტემაში განვითარებულ მოვლენებს. აღმოჩნდა, რომ ნახევარი წლის განმავლობაში გარდაცვლილი 107 ადამიანიდან 41 მიყვანილი იყო კახეთის უკიდურეს ზღვრამდე, იმ მდგომარეობამდე, როდესაც ადამიანი ემსგავსება ჩონჩხს. ეს არის იმდენად შემაძრწუნებელი ფაქტი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ დადგენილების არგამოცემა თითოეული დეპუტატის თავმოყვარეობის საკითხია.

— ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში თუ იყო მსჯელობა, რის გამო არ ხდება გასული წლის მეორე ნახევრის შესახებ ანგარიშის განხილვა?

— დღის წესრიგით ეს საკითხი განხილული არ ყოფილა.

— ასეთი მოსაზრება გამოითქვა, რომ სოზარ სუბარი პოლიტიკაში წავიდა და მის ანგარიშში შესაძლოა იყოს პოლიტიკური ნიუანსები, რის გამოც არ აპირებს პარლამენტი ანგარიშის განხილვას. რამდენად მართალია ეს?

— ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო? რას ნიშნავს პოლიტიკაში წავიდა? სუბარი იყო მოქმედი სახალხო დამცველი, მისი მოქმედება რეგულირდებოდა სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონით. იგი მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მან წარმოადგინა ანგარიში, პარლამენტი ვალდებული იყო ცნობად მიეღო აღნიშნული ინფორმაცია, ან გამოეცა შესაბამისი დადგენილება, რომლითაც მოხდებოდა შესაბამისი საპარლამენტო კონტროლის განხორციელება აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის შტოებზე.

— ანუ პარლამენტი არღვევს კანონს, როდესაც არ იხილავს სახალხო დამცველის გასული წლის მეორე ნახევრის შესახებ ანგარიშს?

— უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პარლამენტი არღვევინებს სახალხო დამცველს ორგანულ კანონს, რომლითაც განსაზღვრულია მისი უფლებამოსილებანი. ამ შემთხვევაში გიორგი ტუღუშის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ის აზრის ის იგი გასული წლის მეორე ნახევრის შესახებ ანგარიშის წარმოუდგენლობასთან დაკავშირებით.

— რაც შეეხება 2009 წლის პირველი ნახევრის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშს, გავრცელდა ასეთი ინფორმაცია, რომ ანგარიშის განხილვისას შესაძლოა რაღაც ნაწილი ჟურნალისტებისთვის დახურული იყოს. რამდენად სწორია, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის რაღაც ფრაგმენტები დახურული იყოს?

— მართალი გითხრათ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტის არსებობის ისტორიაში, სახალხო დამცველის ანგარიში დახურული არ ყოფილა. ერთი ანგარიშის მომსწრე მეც ვიყავი, როდესაც სოზარ სუბარის მხრიდან მნიშვნელოვანი საკითხი იხილებოდა თუ რა მოვლენები უძღოდა წინ 7 ნოემბრის აქციას. საუბარი იყო 4 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე, სადაც იგეგმებოდა 7 ნოემბრის მონაწილეთა დარბევის სპეციალური გეგმები. არც მაშინ და არც მანამდე, მე არ მახსოვს შემთხვევა, რომ სხდომა დახურულიყო. სხდომა, რომელიც დაკავშირებულია მნიშვნელოვან სახელმწიფო საიდუმლოსთან, შეიძლება იყოს დახურული. მე მსგავსი ინფორმაციის საიდუმლოს შესახებ არ მსმენია, ვინაიდან, ეს ინფორმაცია საჯაროდ არის გამოქვეყნებული საიტზე და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გაეცნოს. ამ აზრის გენერატორი ვინც არ უნდა იყოს, პირველ რიგში, იმაზე უნდა დაფიქრდეს, როგორ შეიძლება დაიხუროს სხდომა იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელზეც ღია და საჯარო ინფორმაციაა.

— თქვენ ამ ანგარიშს გაეცანით და რაიმე ისეთი ინფორმაცია ნახეთ, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოს შეიცავს?

— არა. ანგარიშში ასახული ინფორმაციიდან, რასაც გავეცანი, რაიმე ინფორმაცია, რომლითაც შესაძლოა სახელმწიფოს ზიანი მიადგეს, მე არ მინახავს.

— სახალხო დამცველის ანგარიში საკმაოდ სქელტანიანია, ძირითადი რეკომენდაციები და შენიშვნები რომელი უწყებების მიმართ არის?

— ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ საუბარია აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა შემადგენელი სტრუქტურების მიმოხილვაზე, მათ შორის არის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიერ გაწეული შედეგები, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მწვავედ და მკვეთრად არის გამოხატული.

— ანუ ძირითადი შენიშვნები მაინც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიმართ არის?

— დიახ.

— სხვა უწყებების მიმართ თუ არის შენიშვნები?

— კი, აღმასრულებული ხელისუფლების კონკრეტულ სტრუქტურებთან შესახებ ფაქტები არის მოყვანილი, რაზეც ახლა არ ვისაუბრებ, სანამ წარმოდგენილი არ იქნება სახალხო დამცველის მიერ საანგარიშო მოხსენება.

— ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში როდის იგეგმება გიორგი ტუღუშის მოწვევა?

— დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა შორის სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა ჯერჯერობით არ დაგეგმილა.

— პარლამენტი ამ წელში მოუსმენს ტუღუშს?

— სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლო სესიაზე მოუსმენს.

— როცა გიორგი ტუღუშს სახალხო დამცველად ირჩევდნენ, ოპოზიციის მხრიდან სულ იყო იმაზე საუბარი, რომ ის არ იქნება ისეთი პრინციპული, როგორც სოზარ სუბარი იყო. როგორ ფიქრობთ, ტუღუში გააკეთებს აქცენტებს იმ საკითხებზე, რაზეც მწვავედ საუბრობდა წინა სახალხო დამცველი?

— როგორც ჩემთვის ცნობილია, გარდა სოზარ სუბარის პირადი წვლილისა, რომელიც შეტანილი აქვს 2009 წლის პირველი ნახევრის შესახებ ანგარიშის მომზადებაში, გიორგი ტუღუშიც გარკვეულ როლს თამაშობდა ამ ანგარიშის შემუშავებაში. გიორგი ტუღუში ახალგაზრდა კაცია და მომავალი წინ აქვს, ვიმედოვნებ, რომ ის ყველა ღონეს იხმარს, რათა თავის რეპუტაციაზე უფლებამოსილების დასაწყისშივე იფიქროს და გათვალისწინოს სოზარ სუბარის გამოცდილება. ყველა იმ მწვავე საკითხზე, რომელზეც დუმილი დანაშაულია, გააკეთებს მწვავე და ადეკვატურ განცხადებებს.

— პირადად თქვენ კატეგორიული ხომ არ იქნებით გიორგი ტუღუშის მიმართ, ვინაიდან თქვენ ტუღუშის კონკურენტი იყავით?

— არა. მე და ბატონ გიორგის შეხვედრა გვქონდა და როგორც ჩემი, ისე მისი მხრიდან გაკეთდა განცხადებები, რომ მზად-ყოფნას გამოვთქვამთ ერთმანეთთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით. მთავარი საკითხია, არა ჩვენი ურთიერთობები, არამედ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე საბოლოო შედეგი, რაც უკავშირდება ადამიანის უფლებათა დაცვას.

— სამშაბათს თქვენ რამდენიმე ადამიანზე საშვი დაუშვით, თუმცა, თქვენ მიერ დაშვებული საშვები ანულირებული იქნა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა თქვენ მიერ დაშვებული საშვებით პარლამენტში ვინმე არ შემოუშვეს თუ მსგავს ფაქტს ხშირად ჰქონდა ადგილი?

— სხვათა შორის, ორჯერ იყო შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის პიროვნება შეტანილი იქნა უსაფრთხოების სამსახურის მიერ იმ ადამიანთა სიაში, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ საშვი და შემდგომ ეს საშვი გამოიყენონ არა საშვის დამშვებთან შეხვედრის მიზნით, არამედ სხვადასხვა დანიშნულებით. მე ამ ადამიანებს პარლამენტს გარეთ მაინც შევხვდი. სამშაბათს, პარლამენტი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს იხილავდა, რომელიც შეეხებოდა რამდენიმე ახალგაზრდის ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან ძალის გადამეტების შედეგად გამოწვეულ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გააგზავნეთ სმს „ჯემოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მშრომელობაბამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მერის პოსტის დაკარგვა ხელისუფლების დაკარგვას ნიშნავს

ყველა ოპოზიციონერს მოეყუჩოდებთ, რომ არ მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა!

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია ითხოვს რა არჩევნების, მათ შორის, ადგილობრივი არჩევნების გაეროს ეგიდით ჩატარებას, დარწმუნებულია, რომ თბილისის მერის პოსტს კვლავ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი გიგი უგულავა დაიკავებს.

შრომის პარტიის ლიდერები მიიჩნევენ, რომ ოპოზიციამ ამ არჩევნებს ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ერთიანი კანდიდატით წარდგნენ. ამ განცხადებას ლეიბორისტები წარსული გამოცდილებაზე დაყრდნობით აკეთებენ და მიაჩნიათ, რომ ასეთი საარჩევნო გარემოს პირობებში, უგულავას მერობა ფაქტობრივად გარანტირებული აქვს.

რაც შეეხება ოპოზიციას, ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი მიიჩნევს, რომ ადგილობრივ არჩევნებში ხელისუფლება ოპოზიციას ბინძური მეთოდებით დაამარცხებს. მით უმეტეს, რომ ამ არჩევნებში, საკაშვილის თქმით, ხელისუფლება 1,5 მლრდ-ს ხარჯავს.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ლეიბორისტული პარტიის გენერალურ მდივან **სოსო შატბერაშვილს**.

— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით ოპოზიციის ხელმოწერით დადებულ შეთანხმებას 30%-იან საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით?

— დავიწყოთ იმით, რომ არანაირი შედეგი არ დადებულა. შედეგის დადება დადგებოდა, როდესაც ხელისუფლება და ოპოზიცია 50%-იან ბარიერზე შეთანხმებოდნენ. ეს შედეგი იქამდე მიგვიყვანდა, რომ თბილისის მერის პოსტს და საერთოდ, ადგილობრივ ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილი დაკარგავდა. მაგრამ, რადგანაც ახლა 30%-იან ბარიერზეა ხელი მოწერილი ხელისუფლებასა და სახელისუფლო ოპოზიციურ პარტიებს შორის, ეს იმას ნიშნავს, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის კუთხით შედეგი არ არის. ასე რომ, ასეთ ფორმატში მონაწილეობას აზრი არ აქვს.

— დარწმუნებული ხართ, რომ 50%-იანი ბარიერის შემთხვევაში ხელისუფლება თბილისის მერის პოსტს დაკარგავდა?

— დარწმუნებული ვარ, 40%-იანი ბარიერის შემთხვევაშიც დაკარგავდა ხელისუფლება თბილისის მერის პოსტს და ადგილობრივ ხელისუფლებას. 50%-იანი ბარიერი, ეს არის კლასიკური ნიმუში იმისა, რომ კანდიდატი გამარჯვებულად გამოცხადდეს. მაგრამ როცა ხელისუფლება 40%-იან ბარიერსაც არ თანხმდება და ამას ჰქვია შეთანხმების დადება, ეს ჩვენი შეფასებით არის არა შეთანხმება, არამედ ეს არის ხელების გადაგრეხვა. ასეთ შემთხვევაში კი ხელისუფლებისთვის თბილისის მერის პოსტი კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ არის. ხელისუფლება 40%-იან ბარიერსაც რომ დათანხმებოდა, ადმინისტრაციული რესურსისა და უზარმაზარი ფინანსების მიუხედავად, გაუჭირდებოდა თბილისის მერის პოსტის დაკავება. მიუხედავად იმისა, რომ 1,5 მლრდ-ს ხარჯავს ხელისუფლება, მე ზუსტად სიტყვა-სიტყვით ვიმეორებ სააკაშვილის ნათქვამს, ამ თანხის ხარჯვის შემთხვევაშიც კი 40%-იანი ბარიერის შემთხვევაშიც კი ხელისუფლება მაინც დამარცხებულია. იმიტომ, რომ არჩევნებში არა მარტო ადმინისტრაციული რესურსები და ფული, არამედ არჩევნებს იგებს რეიტინგი, რაც ჩავთვალოთ, რომ ხელისუფლება განსაკუთრებით გიგი უგულავას, პრაქტიკულად, არ გააჩნია.

— რა რესურსი აქვს დღეს ოპოზიციას, რომლის რეიტინგიც საგრძნობლად შემცირდა?

— ვერ გეტყვით, რომელ ოპოზიციურ პარტიაზეა ლაპარაკი. როგორც ვიცი, საუბარია გაერთიანებულ კანდიდატზე და პრაიმერის ჩატარება იგეგმება. ოპოზიციის მხრიდან მუშაობა მიდის ადგილობრივი არჩევნების მოგებაზე. მაგრამ რადგანაც ჩვენ გამოვაცხადეთ ადგილობრივი არჩევნების მიმართ ბოიკოტი და მასში დაგეგმილ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ, ჩვენი ღრმა ანალიზის შედეგად გავაკეთეთ ეს განცხადება. ვიცით, რომ ამ სიტუაციაში ოპოზიციას არამც თუ გამარჯვების, არამედ საერთოდ, საკრებულოში დეპუტატის გაყვანის საშუალებაც კი არ მოეცემა. ამას ვაცხადებთ საარჩევნო ადმინისტრაციიდან და საარჩევნო კანონის იმ ნორმებიდან გამომდინარე, რომლითაც ეს ადგილობრივი არჩევნები ჩატარდება. ასე რომ, აზრი არ აქვს ასეთ არჩევნებში მონაწილეობას. იმიტომ, რომ გამარჯვების მიზერული შანსიც კი არ არის. ხოლო თუკი ჩატარდება პატიოსანი, გაუყალბებელი და მიუკერძოებელი არჩევნები და თანაც გაეროს ეგიდით, მაშინ, რა თქმა უნდა, ასეთ არჩევნებში ლეიბორისტული პარტიაც მიიღებდა მონაწილეობას და გაიმარჯვებდა კიდეც.

— აუცილებელია საქართველოში არჩევნების გაეროს ეგიდით ჩატარება?

— რა თქმა უნდა. იმისათვის, რომ საქართველოში იყოს დემოკრატიული და მიუკერძოებელი, გაუყალბებელი არჩევნები, ამაში უნდა ჩაერთოს გაერო. ასეთი პრეცედენტები მსოფლიოში არსებობს. ჩვენ გვინდა, რომ საქართველოზეც გავრცელდეს იგივე და ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ობიექტური არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება მოვიდეს. ასეთ შემთხვევაში ოპოზიციის გამარჯვება არის გარანტირებული. ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ ასეთ არჩევნებში ლეიბორისტულ პარტიას საკრებულოში უმრავლესობას მოიპოვებდა.

— თქვენი აზრით, ირაკლი ალასანიას ალიანსმა ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის საკითხს უნდა გადახედოს?

— ეს მათი გადასაწყვეტია. ჩვენ ყველა ოპოზიციონერ კოლეგას მოვუწოდეთ, რომ არ მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. არა იმიტომ, რომ ჩვენი კოლეგებთან რაიმე წინააღმდეგობა გვაქვს, ან რაიმეს ვერჩით მათ, არამედ წინასწარ ვიცით შედეგი, რომ ოპოზიციას ეს ხელისუფლება ბინძური მეთოდებით დაამარცხებს. შემდეგ გამოვა მიხეილ სააკაშვილი და განაცხადებს, რომ ოპოზიცია ამ არჩევნებში გაფარჩაზდა. ჩვენ სწორედ ეს არ გვინდა, რომ მოხდეს.

— რატომ ვერ გათვალა ოპოზიციამ, რომ ერთ კანდიდატზე შეჯერება გაუჭირდებოდათ და რატომ სხვა ტაქტიკა არ აირჩიეს?

— არ ვიცი. სამაგიეროდ, ჩვენ ეს ყველაფერი კარგად გავთვალეთ. მაგრამ საუბედუროდ, ჩვენმა კოლეგებმა არ დაგვიჯერეს. თუ არ დაგვიჯერეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ და ჩვენი კოლეგები მტრები ვართ.

— ის ფაქტი, რომ დასავლეთი თვალყურს ადევნებს საქართველოში საარჩევნო პროცესს, რატომ ვერ გახდა იმის საფუძველი, რომ ხელისუფლება შედარებით დემოკრატიულ საარჩევნო გარემოს დათანხმებოდა? რატომ არ წავიდა სააკაშვილი თუნდაც 40%-იან ბარიერზე?

— იმიტომ, რომ ადგილობრივ არჩევნებს აუცილებლად წააგებდა. მიხეილ სააკაშვილისთვის კი თბილისის მერის პოსტის დაკარგვა ნიშნავს პოლიტიკურ განადგურებას. ეს სააკაშვილმა კარგად იცის, და ყველაფერს გააკეთებს, რომ თბილისის არჩეულ მერად ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი დასახელდეს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის თვალში სააკაშვილი ძალიან ცუდად გამოჩნდება, ის მაინც თავისას გააკეთებს. იმიტომ, რომ მას თბილისის მერის პოსტი ყველაზეს ურჩევნია. სააკაშვილი არის ამბიციური პიროვნება. მერის პოსტის დაკარგვა მისთვის ხელისუფლების დაკარგვას ნიშნავს. ამ შემთხვევაში სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ის შეკარნახეძახვაით კრწანისში წყნარად ვერ დადგება. მას მოუწევს პასუხისგება და არა მარტო მას. რამდენიმე ადამიანი სააკაშვილის ხელისუფლებიდან აუცილებლად წარდგება სასამართლოს წინაშე.

— ბატონო სოსო, რატომ მაინცდამაინც გიგი უგულავაზე გააკეთა ხელისუფლებამ ადგილობრივ არჩევნებზე გათვლა. თქვენც ამბობთ, რომ უგულავა არარეიტინგულია. 30%-იანი მერი განმუხტავს დედაქალაქში პოლიტიკურ სიტუაციას?

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სახალხო დამცველს კანონს პარლამენტი არღვევინებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სიკვდილიანობას და სამი ახალგაზრდის მშობელი მოსული იყო იმ იმედით, რომ შეძლებდნენ სხდომაზე დასწრებას. ჩემ მიერ საშვის დაშვება არ იყო მიმართული მხოლოდ იქითკენ, რომ ისინი მხოლოდ პარლამენტში მოხვედრილიყვნენ, არამედ მე მათ ჩემს სამუშაო კაბინეტს ვთავაზობდი. იმ შემთხვევაში, თუ სხდომათა დარბაზში ვერ მოხვდებოდნენ, პირდაპირი ტრანსლაციისთვის თვალი მიედევნებინათ ჩემი სამუშაო კაბინეტიდან. პარლამენტთან მოსულები იყვნენ შვილმკვდარი მშობლები: ვაზაგაშვილის მამა, ბუტა რობაძიძის დედა და გამცემიძის მამა. სამწუხაროდ, საბედნიეროდ გაკეთდა განცხადება დავით ბაქრაძის მხრიდან, რომ ამ ადამიანთა გვარები იმ სიაში იყო, რომელთა შორის ფიგურირებდა: ცაგურიას, ჯიშკარიანის და კორძაიას გვარები. ეს სამი ადამიანი, ბატონი დავით ბაქრაძის განცხადებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის იხდიდა სასჯელს, კერძოდ, დეპუტატებისთვის ქვებისა და კვერცხების სროლისთვის და ეს აღმოჩნდა საბაბი და მიზეზი, რომ არ შემოეშვათ ისინი. მაშინ, როდესაც რამდენიმე დღის წინ, ცაგურია და ჯიშკარიანი თავისუფლად შემოვიდნენ ჩემთან, ჩემ მიერ დაშვებული საშვის საფუძველზე. ეს არ არის არგუმენტი, რომ ადამიანს ადევს ადმინისტრაციული სახდელი, ამის გამო არ შეიძლება, რომ სამოქალაქო უფლებები შეზღუდო.

— ანუ ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებულ ადამიანსაც აქვს პარლამენტში შემოსვლის უფლება...

— ადამიანმა თუკი ჩაიდინა ეს გადაცდომა, დეპუტატს ესროლა ქვა ან კვერცხი, რასაც არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებ და ვგრძნობ, მან ამისთვის სასჯელი მოიხადა. მთელი 30 დღე-ღამის განმავლობაში იჯდა, სხვათა შორის, ისეთ დაწესებულებაში, რომელიც არ იყო შესაფერისი ადმინისტრაციული პატიმრობისთვის. მას შემდეგ აღარ ჩაუდენია მსგავსი საქციელი და უნდა შემოვიდეს საკანონმდებლო ორგანოში. კერძო მოსაზრებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ვინაიდან ეს ადამიანი შემჩნეული იყო ქვების სროლაში, მოდით, არ შემოვუშვათო. ეს არის ჩემთვის გაუგებარი.

— რაც შეეხება დაღუპული ახალგაზრდების მშობლებს, პარლამენტის თავმჯდომარემ განბარძა, რომ მათი შემოსვლის პრობლემა და დეპუტატთან შეხვედრის პრობლემა არ იქნებოდა...

— პარლამენტის თავმჯდომარე საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, როდესაც შეიტყო, რომ ამ სიაში იყვნენ გარდაცვლილი ახალგაზრდების მშობლებიც. მან გააკეთა ის განცხადება, რაც ყველამ მოისმინა. მე ამას აღარ შევეპასუხე, რადგან მშობლები წავიდნენ და აღარ დაელოდნენ შედეგებს. მე და გიორგი თარგამაძე მათ სანახავად გავედით, მაგრამ ისინი წასულები იყვნენ. რა თქმა უნდა, წავიდოდნენ, რადგან შეურაცხყოფილნი იყვნენ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ობამას განცხადებას გამოეხმაურა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ბარაკ ობამას განცხადებას გამოეხმაურა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძის განცხადებით, საქართველოს მონაწილეობა მისიაში მოკავშირეების მიერ დადებითადაა შეფასებული.

— ჩვენი სტრატეგია უცვლელია, საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებს ავღანეთში მიმდინარე ოპერაციაში და საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. საფრანგეთის მეთაურობის ქვეშ ჩვენი ასეული უკვე გაემგზავრა ავღანეთში. მომავალი წლის გაზაფხულისთვის ამერიკული მეთაურობის ქვეშ იქ უკვე ბატალიონი გაემგზავრება. საქართველოს მონაწილეობა მისიაში დადებითადაა შეფასებული მოკავშირეების მიერ. აშშ-ის თაოსნობით კოალიცია ახალ სტრატეგიაზე გადადის, რომელიც ალიანსს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების სარდალმა, ამერიკის შეიარაღებული ძალების გენერალმა მაკ კრისტალმა წარუდგინა, — განაცხადა ნიკოლოზ ვაშაკიძემ.

აღნიშნული განცხადებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ოპერაციის ახალ სტრატეგიას გამოეხმაურა. ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ოპერაციის სტრატეგია დაამტკიცა და ამის შესახებ მსოფლიო ლიდერებს შეატყობინა. როგორც უესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში სიტყვით გამოსვლისას ბარაკ ობამამ განაცხადა, ავღანეთში დამატებით 30 000 სამხედრო გაემგზავრება. მან ასევე აღნიშნა, რომ იქ არსებული უსაფრთხოება ყველა ქვეყნის ინტერესებს პასუხობს. მოკავშირე ქვეყნები მზად არიან სამშვიდობო მისიაში მონაწილე კონტინგენტი გაზარდონ. დღეისათვის ავღანეთში საერთაშორისო კოალიციის ჯარებს რიცხვი ასი ათასს აჭარბებს.

ინტერპრესნიუსი

დიპლომატები თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს სტუმრობდნენ

დიპლომატები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები გუშინ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ესტუმრნენ. ვიზიტი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა, რომელიც სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით უცხოელი პარტნიორებისათვის რეგულარული გაცნობიერი შეხვედრების ორგანიზებას ითვალისწინებს.

თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს საქმიანობით ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის, გაეროს განვითარების პროგრამის, ასევე აშშ-ს, საფრანგეთისა და უნგრეთის საელჩოების წარმომადგენლები დაინტერესდნენ. როგორც მათ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ აცნობა, თბილისის ბიურო იურიდიული დახმარების სამსახურის უმსხვილესი ოფისია და მასზე იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა 28% და წარმოებაში მიღებული საქმეების მესამედი მოდის. ბიუროს უფროსის იმედა ბეროშვილის ინფორმაციით, ბიუროში ამჟამად 24 საზოგადოებრივი ადვოკატი, ასევე - 2 კონსულტანტი და სპეციალისტი მუშაობს. მიმდინარე წლის განმავლობაში უფასო საადვოკატო მომსახურებით 2500-ზე მეტმა პირმა ისარგებლა, ხოლო კონსულტაციისა და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენისათვის ბიუროს 1400-ზე მეტმა მოქალაქემ მიმართა.

აღსანიშნავია, რომ სახაზინო ადვოკატის ნეგატიური სტერეოტიპის ნგრევისა და უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის პირველი ეტაპი სწორედ თბილისის ბიუროს უკავშირდება. თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს, ზესტაფონის ბიუროსთან ერთად, ერთ-ერთი პირველი ოფისი გახდა, სადაც 2005 წლის ივლისიდან, "საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის" პროექტის ფარგლებში, უფასო სამართლებრივი დახმარების ახალი სისტემის პილოტირება დაიწყო. 2007 წლის ივლისში, "საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის" პროექტისა და იურიდიული დახმარების შესახებ კანონის საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა. ხოლო, 2009 წლის თებერვლიდან სამსახურის შემდგომი რეფორმირება და განვითარება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ფარგლებში გრძელდება.

მედიანიუსი

სასამართლოების გაერთიანება გრძელდება

სასამართლო რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი სასამართლოების გაერთიანება გრძელდება. გუშინ კიდევ სამი გაერთიანებული რაიონული სასამართლო შეიქმნა. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს შემადგენლობაში ხარაგაულისა და თერგოლის მაგისტრატი სასამართლოები შევიდნენ, თელავის რაიონული სასამართლოს ტერიტორიულ დაქვემდებარებაში კი ახმეტისა და გურჯაანის მაგისტრატი სასამართლოები.

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ დმანისის და მარნეულის მაგისტრატი სასამართლოები მოიცავა, — აცნობეს „მედიანიუსს“ უზენაესი სასამართლოდან.

მიმდინარე 2009 წელს საქართველოში სასამართლოთა გამსხვილების შედეგად სულ 8 გაერთიანებული და 16 მაგისტრატი სასამართლო შეიქმნა.

ნაკლები ხარჯი და უფრო სწრაფი მართლმსაჯულება— ეს ის პლიუსებია, რასაც სასამართლო ხელისუფლება ამ გაერთიანებებისგან ელოდება.

ამბროლაურის (ონის მაგისტრატი სასამართლო), ოზურგეთის (ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაგისტრატი სასამართლოები), ახალციხის (ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოები), ბათუმის საქალაქო (ქობულეთის მაგისტრატი სასამართლო), ხელვაჩაურის(შუახევის, ქედის, ხულოს მაგისტრატი სასამართლოები) რაიონული სასამართლოები 2009 წელს გაერთიანდნენ.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, დღეის მდგომარეობით, 178 მოსამართლეს ახორციელებს უფლებამოსილებას. აქედან 64 მოსამართლე მართლმსაჯულებას თბილისის საქალაქო სასამართლოში აღასრულებს.

რეფორმის კონცეფციის თანახმად, 2010 წლისთვის საქართველოში 22 რაიონული და 44 მაგისტრატი სასამართლო იქნება. ამჟამად სასამართლო სისტემაში 14 გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) და 24 მაგისტრატი სასამართლო მოქმედებს.

ყველა გაერთიანებული სასამართლო გარემონტდება და უახლესი ტექნიკით აღიჭურვება.

მედიანიუსი

სააკაშვილისთვის მერის პოსტის დაკარგვა ხელისუფლების დაკარგვას ნიშნავს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

— უგულავა 30%-იანი მერი არ არის. მას ეს რეიტინგიც არ აქვს. გიგი უგულავას 30%-იანი ადმინისტრაციული და ფულად რესურსი აქვს. ამას დაუმატეთ ტელევიზიები და ის პიარ-მანქანა, რომელიც ახლაც მუშაობს და კიდევ უფრო მეტად ამუშავდება. თანდათან მთელი პროპაგანდისტული მანქანა ჩაერთვება უგულავას და ხელისუფლების პიარში და მისი რეიტინგიც გაცილებით მეტი დაფიქსირდება. მაგრამ რაც შეეხება გიგი უგულავას რეიტინგს ზოგადად, მინდა გითხრათ, რომ თბილისის მოქმედი მერი არ არის რეიტინგული პოლიტიკოსი. თორემ ნაციონალურ მოძრაობაში გიგი უგულავა ნაციონალური მოძრაობაში არის ყველაზე რეიტინგული. უგულავას დონის იქ არავინ არ ჰყავთ, ანუ უგულავა ნაცმოძრაობაში ყველას სჯობია. იქ არიან მხოლოდ უგულავაზე უარესები. აქედან გამომდინარე, წარმოიდგინეთ, რა კატეგორიის ხალხით არის დაკომპლექტებული, რომ უგულავა ყველას სჯობია.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად იმოქმედებს ადგილობრივ არჩევნებზე რუსეთთან ურთიერთობის დღევანდელი მდგომარეობა?

— რა თქმა უნდა, დღეს საკაშვილი რუსეთის რესურსით არის ხელისუფლებაში. რუსეთს მიხეილ საკაშვილმა გაუკეთა საუკუნებრივი საჩუქარი. არ ვიცი, 21-ე საუკუნეში კიდევ ვინმე შეუსრულებს თუ არა მისთვის მნიშვნელოვან დავალებას. ის, რაც საკაშვილმა რუსეთისთვის გააკეთა, ამაზე ყველა არ წავა. ფაქტი და რეალობა ისაა, რომ საკაშვილმა რუსეთს იურიდიულად გადასცა სამხრეთ ოსეთი, თავის ახალგორიანად და აფხაზეთი კოდორის ხეობით. ამას უნდა მივათვალოთ ისიც, რომ 2003 წლიდან ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთს გადაეცა. ასე რომ, პრეზიდენტი საკაშვილი რუსეთის რესურსზე დგას. რა თქმა უნდა, რუსეთთან მოლაპარაკებების წარმოება იქნება და ეს არის მიხეილ საკაშვილის პოსტზე ყოფნის გარანტია. სწორედ რუსეთია მიხეილ საკაშვილის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი.

— რა როლს ასრულებს რუსეთში ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტები ურთიერთობის დარეგულირების კუთხით?

— არ ვიცი. მე არა მგონია, რომ ნოღაიდელი ის პიროვნებაა, რომელიც საქართველოს რაიმე პრობლემას მოუგვარებს. ის იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მან პრობლემების მოგვარების ნაცვლად, ქვეყანას მხოლოდ პრობლემები გაუჩინა.

— არაერთი პოლიტიკოსი მიანიშნებს, რომ საკაშვილის განცხადებებში ომის საფრთხე იკვეთება. თქვენც ასე ფიქრობთ? შეიძლება რუსეთთან ახალი დაპირისპირების მომწიფე გავხდეთ საკაშვილის ხელისუფლების პირობებში?

— საკაშვილზე მეტად ომი არავის არ აწყობს. გავიხსენოთ, ომის შედეგად ყველაზე მეტად ვინ მოიგო. საკაშვილმა დასავლეთიდან მიიღო 4 მლრდ დოლარის სახით დახმარება. მას დაკარგული ტერიტორიები ერთი წუთითაც არ ანაღლებს. მას ერთი კოშმარული სიზმარიც კი არ უნახავს ომის შემდეგ საქართველოს შესახებ. თუ მიხეილ საკაშვილს კოშმარები ეღანდება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სკამის დაკარგვასთან დაკავშირებით. ასე რომ, საკაშვილმა მოიგო 4 მლრდ დოლარი, საიდანაც 1 მლრდ-იც არ დაუხარჯვია საქართველოსთვის. თუ ახალი ომი დაიწყება, ამას საქართველოსთვის უმძიმესი შედეგი ექნება. საკაშვილი კი ალბათ 3-4 მლრდ-ს კიდევ მიიღებს. საკაშვილზე მეტად ომი არავის არ აწყობს. ყველაფერს აკეთებს, რომ ომის პროვოცირება კვლავ მოახდინოს.

— არაერთი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ ხელისუფლების შინგით უკვე დაიწყო ვიღაცების ჩაძირვები. რა ინფორმაციას ფლობთ იგივე გიგი თარგამაძესთან დაკავშირებით?

— გიგი თარგამაძე რამდენიმე წლის წინ ციხისთვის იყო განწირული. მას აპატიმრებდნენ. გაიგო რა გიგი თარგამაძემ ეს ამბავი, მთელი თავისი ბიზნესი უკრაინაში გაიტანა. შემდეგ მოხდა რაღაც შეთანხმება და ის გადარჩა. როგორც ჩანს, გიგი თარგამაძის ფიგურა საკაშვილს ძალიან დასჭირდა, მიუხედავად მისი ოდიოზურობისა, და თარგამაძეც საქართველოში დაბრუნდა. მაგრამ დაბრუნდა ბიზნესის გარეშე. მას მთელი თავისი ქონება და ბიზნესი დღეისათვის უკრაინაში აქვს. შესაძლოა საკაშვილმა თარგამაძე გამოიყენა და ახლა ისევ შეუყენოს წყალი. გასაკვირი არ არის, რომ გიგი თარგამაძე აორთქლებული იყოს. მით უმეტეს, რომ მას ბიზნესი საქართველოში აღარ აქვს. ვიცით, რომ დავით კვერაშვილი რამდენიმე ხნის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო გაქცეული და დაბრუნდა. მას საკაშვილმა 20 მლნ უკან წაართვა. დანარჩენ მაღალჩინოსნებზე ინფორმაციას არ ვფლობ.

პრაიმერის ჩატარებას რამდენიმე ხარვეზი აქვს

ნონა ცაბა ე

ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან

— ბატონო რამაზ, ლეიბორისტების ინიციატივით შეერებილმა ოპოზიციამ მოითხოვა, რომ ადგილობრივი არჩევნები გაეროს ეგიდით ჩატარდეს. რამდენად შესაძლებელია ეს?

— გაეროს მაშინ ატარებს არჩევნებს, როცა ქვეყანას ამის გაკეთება არ შეუძლია. მსოფლიოს დარწმუნება, რომ საქართველოში ასეთი მდგომარეობაა, ძალიან ძნელი იქნება. ძირითადად, რასაც ოპოზიცია საყვედურობს ხელისუფლებას, ეს არის გაყალბება, რაც ბევრ ქვეყანაშია და ეს უცხო ხილი არ არის. თვითონ არჩევნების ჩატარება რომ იყოს კითხვის ნიშნის ქვეშ, ჩვენ გვქონდა ასეთი მდგომარეობა, სამოქალაქო ომის და აფხაზეთის ომის შემდეგ, ამ მოტივით უფრო რეალური იქნებოდა გაეროს ყურადღების მიქცევა. ამ შექმნილ ფონზე ეს მოტივი იმდენად ხშირია, რომ მეეჭვება გაერომ ამას ანგარიში გაუწიოს. რაც მთავარია, ერთერთმა პირმა, რომელიც საარჩევნო კომისიაში მუშაობდა — გია ზესაშვილმა — ხაზი გაუსვა იმას, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია ანალოგიურ ხაბიჯზე რომ წავიდეს, მოთხოვნა უნდა ჰქონდეს ორივე მხრიდან. ამას როგორც ოპოზიციური პარტიები, ასევე ხელისუფლებაც უნდა ითხოვდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ერთი მხარის მოთხოვნაა, ეს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევად შეფასდება.

— ცხადია, ხელისუფლება გაეროს არ მოსთხოვს არჩევნების ჩატარებას...

— რა თქმა უნდა... ამდენად, ამ პირობების გათვალისწინებით არ იქნება ორმხრივი მოთხოვნა, მეორე მხრივ, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა არ არის იმდენად კატასტროფული, რომ პირდაპირი ჩარევა განახორციელონ კითხვის გარეშე. ასეთი პირობების გამო მეეჭვება, რომ ეს გზა აღმოჩნდეს შედეგიანი, მაგრამ ასეთი განაცხადები სხვა შედეგს გამოიღებს. არჩევნების ჩატარება არა, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის შეცვლა საქართველოს მიმართ, მეტი კრიტიკულობა, აი, ეს შედეგი შეიძლება გამოიღოს.

— ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტით საზოგადოებას და პოლიტიკურ სუბიექტებს თვისობრივად ახალი ცვლილებები შესთავაზებს...

— ის თავისებურება ჩვენი არჩევნებისა, რომ პირველ ადგილზე გასულს მიჰქონდა ყველა ხმა, ახლა ეს თავისებურება მოხსნილია, ამაში სიახლე არის, მაგრამ არის თუ არა ყველა ის პირობა დაცული, რომ გათანაბრებული იყოს მონაწილეთა შანსები, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, იმდენი უკმაყოფილოა, რომ მეეჭვება ასეთი შანსები ნორმალურად იყოს წარმოდგენილი. მით უმეტეს, რაც თვალში საცემია, 50%-იან ბარიერზე ასე ცივი უარი ხელისუფლების მხრიდან და იმ ქვეყნებთან შედარება, რომლებიც პრობლემის დემოკრატიულობის ეტალონად ნამდვილად არ გამოდგებიან, სავარაუდოს ხდის, რომ ეს მოდელი დაზღვეული არ არის სრულყოფისაგან.

— ოპოზიციის მცდელობა 50%-იან ბარიერთან დაკავშირებით უშედეგო გამოდგა, ხელისუფლებამ 30%-იანი გაიტანა და ალბათ დაამტკიცებს კიდეც. რამდენად აქვს ოპოზიციას იმის შანსი, რომ ამ არჩევნებში წარმატებას მიაღწიოს?

— ოპოზიციას, რომელიც აპირებს მონაწილეობას არჩევნებში, შანსი, რა თქმა უნდა, აქვს, ანუ ნულოვანი არ არის ეს შანსი, ოღონდ მეტი მობილიზაცია დასჭირდება, ვიდრე 50%-იანი ბარიერის შემთხვევაში.

— დღეს ოპოზიცია არ არის ერთიანი, როგორ ფიქრობთ, შეძლებენ მერობის ერთიან კანდიდატზე შეთანხმებას?

— ერთიან კანდიდატზე შეთანხმება ალბათ გაძნელდება, თუმცა გამორიცხული არაფერია, მანამდე ჯერ დიდი დროა, გააჩნია, პარტიები ერთმანეთს როგორ დაეპაპრაკებიან. რჩება შეთავაზებული, რომ დღევანდელი სურათი შექმნილია ერთმანეთთან მოლაპარაკების გარეშე, იმდენად ქაოტურია ეს სურათი. ვნახოთ, თუკი გამოავლენენ უფრო მეტ შიდა დიპლომატიურობას პარტიები, მერე შეიძლება ამ მოლაპარაკებებმა ერთიან კანდიდატამდე მიიყვანოს ისინი.

— პრაიმერის ჩატარებაში თუ ხედავთ პერსპექტივას?

— იცით, პრაიმერის ჩატარებას რამდენიმე ხარვეზი აქვს და მეეჭვება, რომ დიდი პლუსები ჰქონდეს. ერთი უდავო პლუსი არის ის, რომ პრაიმერი საზოგადოების მობილიზებას გამოიწვევს, რაც ნამდვილად სჭირდება დღეს ოპოზიციურ ფრთას ამ არჩევნებში. იმიტომ, რომ საზოგადოება ძალიან გაპასიურდა აპრილის მოვლენების შემდეგ, მაგრამ ის, რომ პრაიმერმა პრობლემა გადაჭრას, მეეჭვება, რომ იყოს გამართლებული მოლოდინი. ჯერ ერთი, პრაიმერი სახიფათო რამეც არის.

— რას გულისხმობთ სახიფათოში?

— ყოველთვის შეუძლია, თუკი ამის სურვილი ექნება, მეტოქეს აიღოს და თავის მომხრეების დიდი რაზში შემოაგდოს პრაიმერის პროცესში და მათ მიაცემინოს იმ კანდიდატისთვის ხმები, რომლებიც ძირითად შეჯახებაში ანუ არჩევნების დროს იქნება უფრო სუსტი. ანუ პრაიმერის საშუალებით გადაწყვეტილება მიაღებინოს სუსტ კონკურენტზე და არა ძლიერზე. თეორიულად ამის შესაძლებლობა არის. უცხოეთის რამდენიმე პრაიმერზე ასეთი ეჭვი თავის დროზე იყო, მაგრამ მოგეხსენებათ, უცხოეთს, ჩვენგან განსხვავებით, არ უყვარს იმის ძახილი, ჩვენთან კანონი დაირღვაო.

— როგორ ფიქრობთ, ადგილობრივი არჩევნები შეიძლება გახდეს ერთი ერთი ახალი საპროტესტო ტალღის აგორების საფუძველი?

— 50%-იანი რომ ყოფილიყო ბარიერი, შეიძლება გამხდარიყო, იმიტომ, რომ თუკი ხელისუფლებას გაუჭირდებოდა ამ ბარიერის გადალახვა და მეტი შანსია, რომ გაუჭირდებოდა, ის უფრო უხეშად იმოქმედებდა და საარჩევნო წესის უხეში დარღვევები გამოიწვევდა პროცესს. 30%-იანი ბარიერის შემთხვევაში ხელისუფლებამ შეიძლება საერთოდ არ დაარღვიოს საარჩევნო წესი ან დაარღვიოს ისე, რომ ის შეუმჩნეველი დარჩეს საზოგადოებისთვის. ამდენად, აპროტესტო ტალღა ნაკლებად მოსალოდნელია.

— არიან ოპოზიციური პარტიები, რომლებიც საერთოდ არ აპირებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას და აცხადებენ, რომ გაბოიკოტდებიან ახალ საპროტესტო ტალღას ააგორებენ...

— კი არის ასეთი ჯგუფი, რომლებიც აქცენტს საპროტესტო აქციებზე აკეთებენ, მათი სამზარეულო არ ვიცი და ამდენად, ვერ გეტყვით რა სამზადისია. უბრალოდ, ჩვენი ოპოზიცია შეეჩვია იმას, რომ ხშირად, მისდა გასაკვირადაც კი, დიდი რაოდენობა გროვდებოდა ხალხის, რადგან პროტესტი უფრო დიდი იყო. საზოგადოების მობილიზაციისთვის, ხალხის საპროტესტო აქციაზე მოყვანისთვის ჩვენი ოპოზიცია თითქმის არ ზრუნავდა. ახლა სიტუაცია შეიცვალა, ამ ახალ სიტუაციას ოპოზიცია სიახლით უპასუხებს თუ არა, ამაზე იქნება დამოკიდებული, მოახერხებენ თუ არა ახალი საპროტესტო ტალღის შექმნას. ახლა ოპოზიციის მხრიდან ძალისხმევა არის საჭირო, იმისთვის, რომ საპროტესტო ტალღა შეიქმნას.

— რატომ, ალარ არის საზოგადოება ის მუხტი? დაიღალა ჩვენი საზოგადოება?

— საზოგადოება შეიძლება არ დაიღალა, მაგრამ საზოგადოების მხრიდან უფრო ისმის, რომ მათ არ სჯერათ ოპოზიციის შედეგიანობის, არ სჯერათ, რომ შედეგს მიაღწევს ოპოზიცია. მხედართმთავრის თუ არ გჯერა, ომში წასვლა არ გინდა, თუ მხედართმთავრის გჯერა და გამარჯვების მოლოდინი გაქვს, მაშინ შეიძლება ომშიც კი ხალისით წახვიდე. ასე რომ, მხედართმთავრებმა უნდა დაარწმუნონ ხალხი, რომ ისინი გაიმარჯვებენ.



როგორ აღმოჩნდნენ გათავისუფლებული ოსები ჩვენს ხელში?

გოგა ხაინდრავა განცხადებით, ტერორისტ მოზარდებში გაცილებულად, ქართული მხარის მიერ გათავისუფლებული ხუთი ოსიც ისეთივე მძევალი იყო, როგორ ქართველი მოზარდები არიან კოკოითის ხელში.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ხაინდრავამ აღნიშნა, მას არ ჰქონია ინფორმაცია, რომ გუშინ გათავისუფლებული ოსეთის სასამართლო პროცესი გამართულიყო, ან მათთვის ვინმეს რაიმე სახის დანაშაული დაემტკიცებინა.

— ორივე მხარის მიერ ძალინ ცუდი პრაქტიკაა დანერგილი. უდანაშაულო ადამიანები მძევლად აყავათ და პოლიტიკური ვაჭრობისთვის იყენებენ. ეს არის თავისთავად დანაშაული. მე არ ვფიქრობ, რომ ქართული კანიბალიზმი უკეთესია ვიდრე ოსური. არავის აინტერესებს ის ოსები როგორ აღმოჩნდნენ ჩვენი ხელისუფლების ხელში? ხაკაშვილისა და მერაბიშვილის მართლმსაჯულების პრაქტიკიდან გამომდინარე სულ არ გამიკვირდება, რომ ის ოსები სრულიად უდანაშაულოები იყვნენ. არასწორი მიდგომაა, როცა ჩვენს ხელში ჩავარდნილ ყველა ოსს კრიმინალად მივიჩნევთ, ხოლო — სეპარატისტების მიერ დაკავებული ყველა ქართველი უდანაშაულო გვგონია, — განაცხადა “მედიანიუსთან“ საუბრისას გოგა ხაინდრავამ და დასძინა, რომ ყველა სეპარატისტი მისთვის ჩვეულებრივი ადამიანია.

მედიანიუსი

რუსეთის ახალი ინიციატივა გაველენის სფეროების გადანაწილების ახალი გეგმაა

ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შექმნის შესახებ რუსეთის ახალი ინიციატივა არის გავლენის სფეროების გადანაწილების ახალი გეგმა, — ასეთ შეფასებას აკეთებს მედვედევის ინიციატივასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი.

ამის თაობაზე განცხადება გუშინ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააკეთა.

მისი თქმით, მედვედევის უსაფრთხოების კონცეფცია განხილული იყო ეუთოს მინისტერიალზე, რომელიც ათენში გაიმართა. საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის ინიციატივას აფასებს როგორც ცინიკურს მაშინ, როდესაც რუსეთს აქვს ოკუპირებული საქართველოს ორი რეგიონი და ცდილობს ამ რეგიონების ანექსიას.

ინტერპრესნიუსი

საახალწლო ილუმინაციებზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1,5 მლნ ლარი დაიხარჯება

საახალწლო ილუმინაციებზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1,5 მლნ ლარი დაიხარჯება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია მუშების ხელფასები, ახლადშეძენილი საახალწლო ჭაღები, რომლებიც რუსთაველის გამზირზე კიდია და ერთი თვის განმავლობაში ილუმინაციების ნათების შედეგად დახარჯული ელექტროენერგიის ფასები.

თბილისის საახალწლოდ მომზადება შესაბამისმა სამსახურმა ნოემბრის ბოლოდან დაიწყო. ძირითადად უკვე გაკეთდა საახალწლო ილუმინაციები და განათებები. დღეს პარლამენტის შენობის წინ მთავარი საახალწლო ნაძვის ხის დადგმაც დაიწყო. შესაბამისი საახალწლო განათებები მოეწყო თავისუფლების მოედანზე, წმ. გიორგის ძეგლის ქვეშ. თბილისის საახალწლოდ მორთვა დეკემბრის შუა რიცხვებისთვის დასრულდება. სხვადასხვა ადგილას გაკეთდება ასევე საახალწლო სოფლებიც.

ინტერპრესნიუსი

საქართველოში საარჩევნო სისტემების განვითარების ცენტრი ამოქმედდება

საქართველოში საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი შეიქმნება. სწორედ ამას ითვალისწინებს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელიც პირველი მოსმენით 4 დეკემბერს დაგეგმილ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება.

პროექტის თანახმად. ცენტრის ფუნქცია იქნება საარჩევნო სისტემების სრულყოფა, საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა, სადამკვირვებლო მისიის განხორციელება და სათანადო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ცენტრი საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდროდ ითანამშრომლებს. მასთან ერთად საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა და დაინტერესებულ პირთა სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას უზრუნველყოფს. ცენტრის საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და უფლებამოსილებას ცენტრალური საარჩევნო კომისია შესაბამისი დადგენილებით დაამტკიცებს.

მედიანიუსი

პოლიტოლოგი შალვა ფიჩხაძე გარდაიცვალა

ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად სამშაბათს, გვიან ღამით, პოლიტოლოგი, შალვა ფიჩხაძე გარდაიცვალა. როგორც „მედიანიუსს“ კონფლიქტოლოგმა გოგი ხუციშვილმა განუცხადა, შალვა ფიჩხაძეს ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა.

ფიჩხაძის ცხედარი, დოლიძის ქუჩაზე მდებარე, საკუთარ სახლშია დასვენებული.

მედიანიუსი

გერა მამულაშვილი

— ოფიციალური თბილისის ამგვარი საქციელი ადასტურებს პანიკურ შიშს ღიაობისა და რთულ საკითხებზე მოუკერძოებელი პოლემიკისადმი. ეს შემაშფოთებელი სიმპტომია, რადგან ტოტალურად იბლოკება ორი ქვეყნის სამეცნიერო ელიტის წარმომადგენლებს შორის კავშირები, — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვათ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კავკასიის კვლევათა ცენტრის ექსპერტ ნიკოლაი სილაევსა და რუსეთის ფედერაციის არქივის დირექტორს სერგეი მირონენკოს. ამის შემდეგ ჯგუფის კიდევ სამმა წევრმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვლადიმერ ბარანოვსკიმ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციისა და საზოგადოებრივი მეცნიერების ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა ალექსანდრ მილერმა და მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორის მრჩეველმა არჩიომ მალგინმა საქართველოში შემოსვლაზე უარი თავად განაცხადეს და ერევნის გავლით მოსკოვში გაბრუნდნენ.

რუს ექსპერტთა ჯგუფს 1-3 დეკემბერს თბილისში შეხვედრები „რუსეთის კვლევების ცენტრსა“ და „ექსპერტთა ჯგუფში“ უნდა გაემართა. მოსკოვიდან თბილისში გამოფრენამდე ექსპერტი ნიკოლაი სილაევი აცხადებდა, რომ საუბარი იქნებოდა არა მარტო რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, არამედ ქართველი და რუსი მეცნიერ-ექსპერტების თანამშრომლობის მიმართულებებსა და პერსპექტივებზე.

ამ თემაზე „ახალ თაობასთან“ საუბრისას „სახალხო ფრონტის“ ლიდერი ნოდარ ნათაძე აცხადებს რომ მილერისნაირი ექსპერტების საქართველოში შემოშვება „სილის გადაყალავებას“ ნიშნავს. მისივე თქმით, მოსკოვს წინასწარ ჰქონდა მოლოდინი, რომ ამ ექსპერტებს საქართველოში არ შემოუშვებდნენ. ნათაძე აცხადებს, რომ ამ ტიპის კონტაქტებით რუსეთი ერთ-ერთ მიზნად ისახავს საქართველოსთვის კონფედერაციული მოდელის მოხვევას, რამელსაც „გარანტად“ თვითონვე დაუდგება.

— როგორ აფასებთ ქართული მხარის გადაწყვეტილებას რუსი ექსპერტების არშემოშვებაზე და კრემლის განცხადებას ამის თაობაზე?

— ექსპერტების არშემოშვება პრინციპულად სწორი გადაწყვეტილება იყო. როდესაც სახელმწიფოებს შორის, რუსეთსა და საქართველოს შორის ასეთი მიმართებაა, საქართველოს მხრიდან მათი შემოშვება, საერთოდ რუსის მოქალაქის ქვეყანაში შემოშვება სილის გადაყალავებს ნიშნავს. რაც ეროვნულ თავმოყვარეობასთან ყოველად შეუთავსებელი რამეა. რაც შეეხება ამ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობას. დანარჩენებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მილერი მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. მასზე გაკეთებული კომენტარებით, დიდ სკოლგამოვლილი კაცია; კერძოდ, ისეთ კათედრაზეა ჩამოყალიბებული როგორც სპეციალისტი და გარკვეული მიმართულების მქონე მოაზროვნე, რომელიც ძალიან დიდი შთამომავლობითი ფესვების მქონე ადამიანს ეკუთვნოდა. ასეთი ადამიანის მიერ იყო ნახულ-მძღვანელები. მის მუშაობას სავსებით გარკვეული ტენდენციები ჰქონდა. ასე რომ, ასეთების, მილერისნაირების მოსვლა საქართველოში მხოლოდ სიმბოლურ ჟესტს არ წარმოადგენს. მას აშკარად ვიღაცებთან მოლაპარაკება უნდოდა.

რუსეთთან კაპიტულანტური შეთანხმება ფორმდება?

ოფიციალური მოსკოვის შეფასებით, „საქართველოს ხელისუფლებამ რუსი ექსპერტების საქართველოს ტერიტორიაზე არშეშვებით საბოლოოდ დაადასტურა საკუთარი მოსწრაფება, გაწყვიტოს ყველანაირი კავშირი რუსეთთან“. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაშია ნათქვამი, რომელშიც ლავროვის უწყება „სანანულს“ გამოთქვამს საქართველოს ხელისუფლების ქმედების გამო და აცხადებს, რომ „ორ ქვეყანას შორის პუმანიტარული ურთიერთობები არ უნდა შეწყდეს“.

ვინ დახვდა მათ, ამის მიხედვით შეგვიძია ვიმსჯელოთ, ბოდბიში და რა „მასტის“, რა ფერის ხალხთან აპირებდნენ ისინი მოლაპარაკებას. ზოგიერთი მათგანი არანაირ ექსპერტებს არ წარმოადგენენ. მათემატიკოსები და სუსტი ფილოსოფები არიან და საქართველოს საკეთილდღეოდ ისინი არავის არაფერზე არ მოელაპარაკებიან. ყოველ შემთხვევაში ეს არ იყო ის შემადგენლობა, რომელსაც ვინმესთან შეუძლია საქართველოს ინტერესების სახელით ისაუბროს. რაც შეეხება ამაზე რუსული მხარის განცხადებას; ის ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ექსპერტები აქ სპეციალურად შემოუშვეს, რომ ამაზე შემდგომში უარი მიეღოთ. რომ ამით რაღაც ახალი და მკვეთრი ზომა მიიღონ საქართველოს წინააღმდეგ. არ არის გამორიცხული, რომ ისინი დაინყებენ ბიზნესების და სამსახურების გაუმჭობას იქ ქართველებისთვის, რომლებიც დღეს რუსეთში ცხოვრობენ და რომელთა საშუალებითაც საქართველოში რაღაც კაპიკები შემოდის.

— ბრძანეთ, რომ კრემლს ასეთი კონტაქტებით კონკრეტული მიზნები ამოძრავებს; მაინც რისკენ ისწრაფვის ამგვარი პოლიტიკით მოსკოვი?

— ამაზე ცალსახად გეტყვით, რადგან ვინც რუკას უყურებს და ისტორია იცის, შეუძლებელია ეს ვერ დაინახოს. პირველი — რუსეთის მიზანია, რომ საქართველოს თავზე კონფედერაცია მოახვიოს; დამოუკიდებელი საქართველო, დამოუკიდებელი აფხაზეთი, დამოუკიდებელი ოსეთი. შემდგომში ამ კონფედერაციის რაღაც გარანტად თვითონვე დაუდგეს. ამ მისიის გააფთრებული ზეწოლა საქართველოზე მიზნად ისახავს სააკაშვილს მისცეს საშუალება, რომ ეს კაპიტულაცია რუსეთის წინაშე, ქართველ ხალხს და საქართველოს მოსახლეობას მოაჩვენოს, როგორც აუცილებელი ნაბიჯი, რომლითაც ჩვენ თითქოსდა რაღაცას ვიგებთ.

მეორე — რუსეთს ჰყავს თავისი არაოფიციალური გულშემატკივრები და არაოფიციალური მმართველები. ეს არის რუსული საზოგადოებრივი აზრი და რუსული ეროვნული ინტერესი. ადრე მას ერქვა სახელმწიფო კანცელარია, პანინის კანცელარია ეკატერინეს დროს; მერე სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელები ერქვა.

სტალინი მათ გარკვეულ ანგარიშს აბარებდა. და როდესაც სტალინმა კორეაში ომი წააგო და უკანდახევა არ უნდოდა (რადგანაც საკუთარი ბიოგრაფიის გაფუჭება არ უნდოდა) სტალინი ამის გამო მოკლეს და დაინყეს დაშბობის პროცესი დასავლეთთან.

ახლაც ანალოგიური სიტუაციაა. პუტინის და მედვედევის პოლიტიკამ რუსეთი ჩიხში შეიყვანა. ამყამად რუსეთი აშკარად საერთაშორისო ჩიხში იმყოფება. სად, როდის მიიღებს პანღურს და როდის სილას, თვითონაც არ იცის.

რუსეთს დღეს იმის ძალა არ აქვს, რომ მსოფლიოს ეჭიდაოს. ამ დროს ის მსოფლიოსთან ამ ჭიდაობის პოზიციაში დგას. ამიტომაც რუსეთის ეს არაოფიციალური კანცელარია მონდომებულია, ალბათ, რომ პუტინი და მედვედევი მოაცილოს ხელისუფლებას. და მოაცილოს ისინი რაც შეიძლება ჯანდაღურად. მოაცილოს იმ ფორმით, რომ ჰქონდეს საშუალება თქვას — ესენი არ ვარგოდნენ, რუსეთი მცდარი გზით წაიყვანეს და ახლა ჩვენ შებრუნებული გზით უნდა ვიაროთო. შეუძლებელია მათ ეს არ უნდოდეთ.

ამით ვხსნი იმასაც, რომ სანამ პუტინი დაგვიწყებდა რაღაც კოჭებს გამოგორებას, მანამდე ეს სხვებმა დაგვიწყეს. ახლა რუსეთის ტერიტორიაზე ვისში სახიერდება რუსეთის ეროვნული ინტერესი და ეროვნული კანცელარია? პოპაგიბრივი კავშირები აქვს, მაგრამ პირველ რიგში შიგნით რუსეთში ვინ არიან ეს ადამიანები? ეს არის რუსეთის გენერალიტეტი და რუსული ეკლესია. სხვებიც არიან, მაგრამ ესენი ნამდვილი საყრდენები არიან, რომლებიც თავის მხრივ სრულიად გაუმტეხლები არიან.

ასეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ საქართველოს ამგვარ კაპიტულანტურ შეთანხმებაზე დათანხმება სურთ. ან ყალბზე, ან ნამდვილზე, მაგრამ საქართველოსთვის ეს ორსავე შემთხვევაში მიუღებელია. ნამდვილობის შემთხვევაში და შეთავაზების სიყალბის შემთხვევაშიც.

შეთანხმება კი ასეთია — დაგიბრუნებთ ტერიტორიებს, ოღონდ რა თქმა უნდა მათ რაღაც გარანტად მე დავუდგები; მაგრამ შენ სამაგიეროდ ზურგს აქცევ ნატოს, ზურგს აქცევ დასავლეთს. აი, ეს მიდგომა არის საქართველოსთვის სასიკვდილო. საქართველოს, ქართველ ხალხს უნდა ახსოვდეს მთლიანად და არა მხოლოდ ხელისუფლებას (რომელიც დღეს რუსეთის აგენტურაა), რომ საქართველოს დღეს გადარჩენის სხვა გზა გარდა დასავლეთთან სამხედრო კავშირისა, არ მოეპოვება. ჩვენ რომ ამ გზას ზურგი ვუქციოთ, დასავლეთი მაშინვე ხელს აიღებს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში ჩვენს დახმარებას და საერთოდ ხელს აიღებს ჩვენზე; რუსეთი კი ამ შემთხვევაში მთლიანად გადაგვყლაპავს.

— მაინც როგორია თქვენი პროგნოზი?

— დასავლეთი რასაკვირველია რუსეთს განდევნის ჩვენი ტერიტორიიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდანაც. მაგრამ დასავლეთი ასევე დაინყებს ალტერნატიული გზების ძებნას შუა აზიისკენ. თუმცა, ჩვენი ხარისხისა ეს გზები არც ერთი არ იქნება. მაგრამ ალტერნატიული გზების ძებნის პროცესი მაინც დაინყება. ეს იქნება თურქეთ-ირანის და ჩრდილოეთ კავკასიის გავლით გზები. ასე რომ, თუ ჩვენ გვინდა სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ, განვავითაროთ და გავამყაროთ, არ შეიძლება, რომ ერთი მისხალი მაინც მოვაკლოთ ჩვენს დასავლურ ორიენტაციას. სწორედ ამას უშიშნებს რუსეთი იმ შემთხვევაში, თუკი ამ შეთავაზებაში გულწრფელია. მაგრამ მგონია, რომ ამაში კრემლი გულწრფელი არც არის. ამას საკაშვილს შესთავაზებენ და საკაშვილი მათ სასარგებლო ნაბიჯებს გადადგამს; მათი ჩვენზე ზეწოლა იქნება ფონი, რომ ყოველივე ეს ქართველი ხალხის გამარჯვებად წარმოაჩინოს და შემდეგ გადამწყვეტ მომენტში რუსი გადაიგდებენ, რა თქმა უნდა.

მაგრამ მანამდე იქამდე მიიყვანს ამ პროცესს, რომ საქართველოს დასავლეთთან ზურგის შექცევის აქტი განახორციელოს. ეს არის მათი მთავარი ამოცანა. მათ რომ საქართველოში ერთგული ხელისუფლება არ ჰყავდეთ, ამ ნაბიჯებს ვერ განახორციელებდნენ. როგორც ოფიციალურ პირს, ამაზე საუბრის უფლება არ მექნებოდა, მაგრამ როგორც ცერმო პირს, ამაზე საუბრის უფლება ნამდვილად მაქვს.

— ბრძანეთ, რომ კრემლის მხრიდან კონკრეტულ შეთავაზებებს აქვს ადგილი, ყალბს, თუ ნამდვილს. მაგრამ რამდენად ჩანს დასავლეთიდან სიგნალები, მათ შორის სამხედრო თანამშრომლობის უფრო ღრმად განვითარების თვალსაზრისით, რომ ქვეყანა ისევე რუსული სამხედრო ჩექმის ქვეშ არ აღმოჩნდეს?

— სამხედრო კავშირის მხრივ მგონია, რომ სიტუაცია ვითარდება. არა იმ ტემპით, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ მაინც ვითარდება. საქართველოსთვის მაინც მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საჰაერო დაცვის საშუალებები უნდა მოგვაწოდონ. ეს პროცესი ვითარდება და ჩემი აზრით, ტემპს ისევ მოუმატებს.

დასავლეთის ინტერესზე კავკასიის მიმართ მეტყველებს თუნდაც ასეთი ფაქტი; ამერიკული მხრიდან გაფლერდა პოზიცია, რომ თუ აზერბაიჯანი ყარაბაღის პრობლემის ძალით გადაჭრას მოინდომებს, მაშინ ყარაბაღის ცნობა მოხდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და არატიპური ნაბიჯია — მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება ამ ორ შესაძლებლობებს შორის. ასე რომ, ინტერესი ძალიან დიდია და ამის ამოკითხვა უბრალოდ რუკიდანაც შეიძლება.

დღეს დასავლეთი არა მარტო ძალით აღემატება რუსეთს, არამედ ჩვენი რეგიონისადმი ინტერესის ხარისხითაც; ამ ინტერესის ინტენსივობითაც; ანუ დასავლეთის ინტერესი აქ მაქსიმალურ ნიშნულზეა. ასე რომ, ჩემი აზრით, დასავლეთის მხრიდან ეს მხარდაჭერის პოლიტიკა გარანტირებულად გაგრძელდება.

მანანა არჩვაძე: „სახალხო დამცველმა ცოტნეს მონახულება არ იკადრა“

რა დოკუმენტი გადასცა კოლხურ კოშკში კოვალენკომ ცოტნე გამსახურდიას?

გულიკო ბალა ე

საქართველოს მთავარი პროკურატურის მისაღებში მოშიმშილე მანანა არჩვაძე-გამსახურდია მოითხოვს, ცოტნე გამსახურდია ჩააბარონ ისეთი, როგორიც ის მომხდარ ფაქტამდე იყო. „ცოტნე გამსახურდია მსხვერპლი გახდა იმ უკანონობის და დევნისა. მათ უნდათ წარმოადგინონ ისე, თითქოს ზვიად გამსახურდიას ერთი შვილი კარგი ჰყავს — გიორგი გამსახურდია მუშაობს დიასპორის სამინისტროში, მაგრამ ცოტნე გამსახურდია არის უსაქმური და არ უნდა სამსახური. მას უნდა კრიმინალური ცხოვრება. შარშან ცოტნე გამსახურდიას ვითომ სამშობლოს ღალატი მიაწერეს. საააკაშვილმა მიპასუხოს, ტელეფონით შეიძლება ხელისუფლების დამხობა? ხომ დაუმთავრებია კონსულმბიის უნივერსიტეტი. მიპასუხოს კითხვაზე, მსოფლიოში ტელეფონით დამხობილი ერთი ხელისუფლება მაინც დამისახელოს და მე მას ბოდიშს მოვუხდი“, — განაცხადა მანანა არჩვაძე გამსახურდიამ.

მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ გაამხილა, მოსკოვში ვინ შეატყობინა ცოტნე გამსახურდიას, რომ ორი წლის წინ, 7 ნოემბერს თბილისში საქართველოს ხელისუფლებას უბედურება უნდა დაეტრიალებინა.

— თუ ცოტნე გამსახურდიამ ტელეფონით გააფრთხილა მამამისის მოსასხლეტ მტრები, ამიტომ სდევნიან? სხვათა შორის, იქ ყველა მოსისხლე მტრები იდგნენ, დაწყებული გოგა ხაინდრავადან, დამთავრებული ყარყარიშვილებით. გაჩერილაძე და მისი ნათესავბა პირდაპირ იბრძოდა ჩვენ წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს, ის კიტოვანის დაცვის წევრი იყო. გამყრელიძე კი გია ჭანგურიას მარჯვენა ხელი გახლდათ. ვისზე და რაზეა ლაპარაკი? ცოტნე გამსახურდია მაგათ დაუმეგობრდებოდა? ელემენტარულად, ჩემი შვილი შეცდა, მართალია მოტყუვდა, მაგრამ ესეც ბოროტი განზრახვით არ გაუკეთებია.

ცოტნე გამსახურდიას დაუკავშირდა ბადრი პატარკაციშვილი. ჩვენთვის დღემდე გაურკვეველია, ბადრი პატარკაციშვილს ვინ მისცა ცოტნე გამსახურდიას ტელეფონის ნომერი მოსკოვში. პატარკაციშვილმა ცოტნეს უთხრა, დღეს დარბევას აპირებენ, მხუთავი გაზი უნდა შეუშვან პირველ სკოლაშიო. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ცოტნე გამსახურდიამ ვა დარეკა, რათა ბავშვები არ დაეუპატიჟებინენ. სწორედ ბავშვების დაღუპვის საშიშროება იყო მისთვის უმთავრესი. ცოტნემ იცოდა, თუ გაზს გაუშვებდნენ, გარეთ გაუშვებული გაზი იმდენად სანიში არ იყო, რამდენადაც შენობაში. მეორე ორდღისაც და იმაზე უარესი განმეორებოდა. ყველაფერი გაიანგარიშა ცოტნე გამსახურდიამ და თავი გაწირა. მან ელემენტარულად უთხრა, რომ ბავშვები უნდა გადარჩენილიყვნენ, — თქვა მანანა არჩვაძემ.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია შეეხო ცოტნე გამსახურდიას რუსეთის სიელჩოს თანამშრომელ ვალენკინთან შეხვედრის ფაქტსაც, რის გამოც მის მიმართ გაჩნდა საშიშროების ღალატის ბრალდებები. მან გაამხილა ისიც, თუ რა დოკუმენტი გადასცა კოვალენკომ ცოტნე გამსახურდიას.

— თუ ვალენკინთან შეხვედრის გამო ადანაშაულებენ ცოტნე გამსახურდიას, აცხადებენ, რატომ შეხვდა ვალენკინსო, იმ ვალენკინს მე ათჯერ შევხვდი. მანამდე ჩხიკვიშვილს ვხვდებოდი, როდესაც ის საქართველოში რუსეთის ელჩი იყო. ჩემი მდგომარეობა, ჩემი ტრაგიკული ბედი მაიძულებდა, მათ შევხვედროდი, მათთვის განცხადებებით მიმემართა. მიმართონ და ამოიღონ ჩემი განცხადებები. მე მათ ვთხოვდი: ჩენჩებში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით, გვთხოვთ გაამახვილოთ ყურადღება, რომ ჩემი მეუღლის, ზვიად გამსახურდიას საფლავი იმყოფება ჩეხოვის 15 ნომერში. ძალიან გთხოვთ მოუფრთხილდეთ და ნუ დამიშავნებენ ამ ერთადერთ სალაპარაკო ადგილს-მეთქი. ამასთან დაკავშირებით უამრავი განცხადება მაქვს დაწერილი. მივმართავდი როგორც კოვალენკოს, ასევე ვალენკინს. რატომ მე არ მასახელებენ და რატომ მე არ მეუბნებიან, შენც სამშობლოს მოღალატე ხარო? იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ცოტნე გამსახურდიას მიმართ ასეთი ბრალდებები აწყობთ, რათა ამ საქმეში ჩაეთრიათ, მაგრამ ეგ არ გამოუვათ.

აცხადებენ, ვალენკინმა ცოტნე გამსახურდიას რაღაც დოკუმენტი გადასცაო. ის დოკუმენტი მე მაქვს, ოღონდ გადავმალე. ამათ ხელში არ ჩავუგდებ. ვალენკინი მე დამიკავშირდა. თუმცა, ვალენკინამდე დამიკავშირდა დონის როსტოვის სამხედრო-სამედიცინო ექსპერტიზის ხელმძღვანელობა და მითხრეს, თქვენს ქმარზე ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზა დასრულებულია, ოღონდ, ვის გადავცეთ ეს დოკუმენტებიო. საამაოდ ვრცელი დოკუმენტია, შეკრულია, როგორც წიგნი და დაახლოებით 300 გვერდზე მეტს მოიცავს. ეს არის ექსპერტიზის დასკვნა. მე მას ვუთხარი, რომ არ ვენდობი ამათ ფოსტას, ვინაიდან არც ტელეგრამა და არც არანაირი საფოსტო შეტყობინება ჩემამდე არ აღწევს. ამიტომ, არ მინდოდა აღნიშნული დოკუმენტი ისეთების ხელში მოხვედრილიყო, ვისაც უნდოდა მისი ხელში ჩაგდება და გასაიდუმლოება. ამიტომ მათ მივმართე თხოვნით: თუ ამ დოკუმენტს დიპლომატიური ფოსტით საქართველოში რუსეთის საელჩოში გადმომიგზავნით, დიდ პატივს დამდებთ, რადგან დაზღვეული ვიქნები, რომ დოკუმენტი არ დამეკარგება და ისეთი ადამიანების ხელში არ მოხვდება, რომლებსაც უნდათ გაასაიდუმლოონ, ზვიად გამსახურდიამ თითი მოიკლა თუ მოკლეს. მეც კარგად ვიცნობდი იმ ვალენკინს. აღმოჩნდა ისე, რომ იმ დღეებში მე არ ვიყავი თბილისში, სამი დღით გავედი ქალაქიდან და ვალენკინი ჩემს ვაჟიშვილს დაუკავშირდა. ცოტნემ აიღო ტელეფონი და ვალენკინმა დოკუმენტი გადასცა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამკვირვებლების ყოფნა აუცილებელია

საქართველოში ვიზიტით ევროსაბჭოს წარმომადგენლები იმყოფებიან. ევროსაბჭოს წარმომადგენლებს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი შეხვდა.

ნათია ხურცილავა

ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან სახელმწიფო მინისტრმა ქვეყანაში შექმნილი პრობლემები განიხილა. განსახილველ საკითხთა შორის ერთ-ერთი საკითხი ოკუპირებული ტერიტორიები იყო.

ჟან ლუი ლორანის განცხადებით, მან მოისმინა თემურ იაკობაშვილისაგან ყველა იმ პრობლემის შესახებ, რომელიც ამ ეტაპზე ქვეყანაში არის. იქნება თუ არა ევროსაბჭო ქმედუნარი ჩვენი პრობლემების გადაჭრაში, ამას დრო გვიჩვენებს.

ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე იაკობაშვილმა ევროკავშირის მონიტორების ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის საკითხი დააყენა. თუმცა, ამ საკითხზე შეხვედრიდან გამოსულ უცხოელ დიპლომატებს არაფერი უთქვამთ. ეს საკითხი ქართული მხრიდან ყველა დონეზეა დაყენებული. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, როგორც გაეროს და ეუთოს მანდატის აღდგენის შემთხვევაშიც რუსეთის ფაქტორი მოქმედებს.

— რა საკითხები იქნა შეხვედრაზე განხილული?

თემურ იაკობაშვილი:

— საუბარი იყო ადამიანის უფლებების მონიტორინგზე. ჩვენთვის სულ ერთი არ არის რა ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. საუბარია არა მხოლოდ ქართულ მოსახლეობაზე, არამედ ყველა მოსახლეზე, რომელიც იქ ცხოვრობს. ჩვენ ამ დარღვევებზე უკვე დიდი ხანია ვსაუბრობთ, რომ მათი უფლებები ირღვევა. ვისაუბრეთ კონკრეტულ მექანიზმებზე თუ როგორ შეიძლება ევროსაბჭოს დამკვირვებლები უფრო აქტიურები გახდნენ და უფრო აქტიურად იმოღვაწონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მათ უნდა მიეცეთ რეალური საშუალება, რომ იქ მომხდარ დარღვევებს უფრო აქტიურად დააკვირდნენ, რა თქმა უნდა, დაკვირვების მიზანია, რომ ყველა დარღვევა დროზე აღიკვეთოს. ჩვენი მხრიდან იყო სურვილი გამოთქმული, რომ ასეთი ტიპის სადამკვირვებლო დელეგაციები აუცილებლად უნდა იყოს ფართო კონტექსტში განხილული. მიგვაჩნია, რომ ყველაზე სწორი კონტექსტი იქნება აღნიშნული დელეგაციების საქმიანობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ფორმატში, რომლებიც აუცილებლად უნდა შევიდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

სახელმწიფო მინისტრმა ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან ტორმნილი მოზარდების საკითხიც განიხილა. თუმცა, აღნიშნული საკითხის კომენტირებისგან მინისტრმაც და დიპლომატებმაც თავი შეიკავეს.

— ტორმნილიდან გატაცებული მოზარდების ტყვეობის საკითხიც იქნა შეხვედრაზე განხილული. თუმცა, ამ საკითხის კომენტირებისგან თავს შევიკავებთ, გატაცებული ბავშვების განთავისუფლება ხელი რომ არ შეეშალოს. მათ განთავისუფლებაზე ძალისხმევაა მიმართული, ბატონი ჰამერბერგიც ჩასულია ცხინვალში. იმედია, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. — ეს განცხადება სახელმწიფო მინისტრმა ცხინვალში სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გააკეთა.

ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი იქნა განხილული საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრაზეც.

რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლის საკითხი განიხილეს გერმანის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ამერიკის ელჩებმა და სახელმწიფო მინისტრმა. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ გაირკვა, საუბარია გარკვეულ სტრატეგიაზე, რომელიც იაკობაშვილმა ელჩებს გააცნო.

როგორც ცნობილი გახდა, კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება აღნიშნულ საკითხზე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებთან 11 დეკემბერს.

— ძალიან დეტალურად ვისაუბრეთ ადამიანის უფლებების მონიტორინგზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თუ რა მექანიზმებით უნდა მოხდეს იქ მონიტორების შესვლა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ევროპის საბჭოს ამ საკითხის გადაწყვეტაში ძალიან აქტიურად შეუძლია მონაწილეობის მიღება. ვიმეორებ, რამდენიმე საკითხზე გვქონდა საუბარი. ევროსაბჭოს მონიტორები აუცილებლად უნდა იყვნენ ფართო მანდატის ფარგლებში. — აღნიშნავს მინისტრი.

შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი ევროსაბჭოს წარმომადგენელმა გააკეთა. ევროსაბჭოს წარმომადგენელმა საქართველოს ხელისუფლებას აღფებული ვალდებულებები შეახსენა, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს აიღო საქართველომ.

ეს ვალდებულებები არცთუ მარტივი შესასრულებელია. საუბარია მეხების რეპატრიაციაზე, რელიგიური უმცირესობების და რეგიონული უმცირესობების ენების ქარტიასთან მიერთებაზე.

მეხების დაბრუნების საკითხის აქტიური განხილვა საქართველოში, შეიძლება ითქვას, არც კი დაწყებულა. ამდენად, გაუგებარია ხელისუფლების პოზიცია აღნიშნულ საკითხზე.

— ჩვენ განვიხილეთ ის საკითხები, რაც ევროსაბჭოს კომპეტენციაში შედის. ვისაუბრეთ იმ ვალდებულებებზეც, რომელზეც საქართველომ პასუხისმგებლობა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს აიღო. ეს ვალდებულებები უნდა შესრულდეს. მინისტრთან შეხვედრაზე ასევე ვისაუბრეთ მეხების დაბრუნების, რელიგიური უმცირესობების სტატუსის და რეგიონულ უმცირესობათა ენების ქარტიასთან საქართველოს მიერთების შესახებ. — განაცხადა ევროსაბჭოს წარმომადგენელმა.

საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს შეხვედრის დასრულების შემდეგ კომენტარები არ გაუკეთებიათ.

მანანა არჩვაძე: „სახალხო დამცველმა ცოტნეს მონახულება არ იკადრა“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

— როდესაც რუსები ზვიად გამსახურდიას ამხობდნენ, მაშინ ხომ კარგები იყვნენ. მათ ახლაც კარგი ურთიერთობა აქვთ რუსებთან. საქართველოს უმთავრესი სასიცოცხლო მაგისტრალებიდან დაწყებული, ყველა ეკონომიკური ბერკეტი და ტერიტორიები რუსებს ჩაუგდეს ხელში და დიდი ამბავი, თუ ჩემი ქმრის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გამო ცოტნე ვალენკინს შეხვდა. ეს დასკვნა ჩემ ხელში იქნებოდა თუ ცოტნეს ხელში, რუსმა გადმოგვცა თუ ფრანგმა, რა მნიშვნელობა ჰქონდა? ესენი ყოველ დღე უცხოეთში რომ დარბიან, რისთვის დარბიან, თუ არ ჯაშუშობენ? ამიხსნან. მე მაგათ ყველას ჯაშუშებად ვნათლავ. რა უნდათ, აბა, ყოველ მეორე დღეს უცხოეთში? ან საქართველოს ყიდიან, ან რაღაც უბედურებას გვიმზადებენ. ასე აღვიქვამ ამათ მოძრაობას უცხოეთში, რადგან, დღესდღეობით, საქართველოში სიტუაცია ისეა შეცვლილი, აქ ქართულს ვერაფერს ვეღარ ვხედავ.

მანანა არჩვაძემ, როგორც ექიმმა, უშუალოდ ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობაც დააზუსტა. მისი თქმით:

— დღეს ჩემი მდგომარეობა არის უმძიმესი და ძალიან ტრაგიკული, ვინაიდან ჩემს შვილს ცოტნე გამსახურდიას აქვს შიმშილობის 36-ე დღე. ხუთჯერ ჰქონდა კომატოზური მდგომარეობა. წონაში 25 კილოგრამი აქვს დაკლებული, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან დამძიმებულია, როგორც ექიმი, განვმარტავ, რომ ნებისმიერი წამი, ნებისმიერი წუთი, მისთვის საშიშია. რა წუთში დადგება ის მომენტი, კაციშვილმა არ იცის, რადგან მის ორგანიზმს აკლია (ცილებს რომ თავი დავანებოთ) მაგნიუმი, კალიუმი, მიკროელემენტები, რაც გულის კუნთს და ტვინს კვებავს. რა წუთში გაითიშება ტვინი, რა წუთში დაეწყება გულის უკმარისობა და უარს იტყვის, არავინ ვარ ამისგან დაზღვეული.

რას ითხოვს ცოტნე გამსახურდია? ცოტნე გამსახურდია ითხოვს მისნაირად დაზარალებული ბაჯელიძის დაკითხვას. უკვე 35 დღე გავიდა. დავით ბაჯელიძე საავადმყოფოდან გამოწერეს და 6 ნოემბრიდან უკვე სახლში იმყოფება, მას კი არ ჰკითხავენ. აბუჩად აგდებული პასუხები მიიღო ადვოკატმა ქეთევან ბექაურმა გამომძიებელ ზურაბ სხირტლაძისაგან. საჩივარი ყველგან შეიტანა, მათ შორის, მთავარი პროკურორის მოადგილე მამუკა გვარამიასთანაც, მაგრამ ყველასაგან ერთი და იგივე პასუხები მივიღეთ — გვინდა დავკითხავთ, გვინდა არა, დაკითხვის დრო ჩვენზეა დამოკიდებული, როდესაც საჭიროდ მივიჩნევთ, მაშინ დაიკითხება, ან არ დაიკითხება. დამიდონ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სადაც დაფიქსირებულია ერთი მუხლი მაინც, რომ როდესაც ხდება უბედური შემთხვევა, იმ წუთში თუ დაზარალებულისა და დამნაშავის დაკითხვა ერთდროულად არ ხდება, თუ შესაძლებლობას გაძლევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. დავით ბაჯელიძის ისტორიაში ბატონი ახმეტელი, ექიმი, ვინც მიიღო დაჭრილი ბაჯელიძე, აფიქსირებს, რომ იგი გაწლდათ ადეკვატური, ახსოლუტურად კონტაქტური. ექიმი აცხადებს, ყველაფერზე ვსაუბრობდით და სანამ ნარკოზის ქვეშ არ მოხვდა, მასთან საუბარი ახსოლუტურად შესაძლებელი იყოო. დავით ბაჯელიძეს ცოტნე გამსახურდია არ უხსენებია. მან დააფიქსირა, რომ ვინ მიაყენა ჭრილობა, მისთვის უცნობია. ცოტნე გამსახურდია აიყვანა პატრულმა და შვიდნაკერდადებული ბადრაგმა მაშინვე წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანა. ის იქ იყო მარტოხელა, რომელსაც თავიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ კაციშვილი არ იყო მისი დამმძარე. ასე გაატარა მთელი დღეები. მისთვის ექიმი არ შეუყვანიათ და სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩენიათ მიუხედავად იმისა, რომ გონებაც დაკარგა, გულიც ერეოდა. მიმღებში შედგენილ ისტორიაშიც წერია, რომ მას გულის რევის შემთხვევაც ჰქონდა, გონებაც დაკარგა.

ტელეფონით დამირეკეს, სასწრაფოდ გამოიქეცი, ცოტნე მძიმე მდგომარეობაშია, თავის ქალის მძიმე დაზიანებით არის მოყვანილი საავადმყოფოში, არმატურა აქვს თავში ჩარტყმული. წარმოიდგინეთ, არმატურის თავში ჩარტყმა რას მოუტანდა ადამიანს. მივდივარ საავადმყოფოში, ცოტნე იქ არ მხვდება. თურმე პოლიციაში ჰყავთ წაყვანილი და გამორიცხულია, რომ მე ცოტნე მაჩვენონ. ასე იტაცებენ. დღემდე მე ის არ მინახავს. დღესაც არ მრთავენ შვილის ნახვის უფლებას. აბსოლუტურად ყველას მივმართე, დაწყებული გია არსენიშვილით და ტუღუშით. ერთადერთხელ მოვახერხე ტუღუშთან შესვლა და ამის გამო მან დაცვის პოლიციის ორი წევრი გაათავისუფლა, როგორ გაბედეთ და მანანა არჩვაძე მესამე სართულზე ამოუშვითო. ასეთი სახალხო დამცველი ჰყავს საქართველოს. ტუღუშთან ლაპარაკი ზედმეტია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტუღუშმა ერთი თვის წინ გაეროს გაფართოებული უფლებები მიიღო და შეუძლია ყოველდღე მინახულოს ცოტნე გამსახურდია. თუმცა, ამ შემთხვევაში, ის ამას არ იყენებს. სახალხო დამცველმა ცოტნეს მონახულება არ იკადრა. მისი წარმომადგენელი ვინმე დანიელ გელაშვილი გაგზავნა, რომელმაც არასწორი და არასრულყოფილი ოქმი შეადგინა. მას არ დაუფიქსირებია ცოტნე გამსახურდიას შიმშილობის მერამდენე დღე იყო, ან თუ საერთოდ მშიმშილობდა, მშრალ შიმშილობაზე თუ იყო. გელაშვილმა დააფიქსირა, რომ ცოტნე უჩივის თავბრუხვევებს, ტაქიკარდია აქვს, ცუდად ხდება, მწოლიარე მდგომარეობაშია და ა.შ., მაგრამ მიზეზი რა არის, არ წერს, ანუ არ აფიქსირებს, რომ შიმშილობს. ამაშია ამათი სივერაგე, არქივებში არ უნდათ დატოვონ, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ცოტნე გამსახურდია.

როგორც კი დავით ბაჯელიძეს დაკითხავენ, ცოტნე მაშინვე შეწყვეტს შიმშილობას, რადგან ის 100%-ით არის დარწმუნებული, რომ, როგორც ცოტნე გამსახურდიამ არ იცის, ვინ ჩაარტყა მას თავში (მხოლოდ ამბობს, 40 წლამდე ასაკის პიროვნება იქნებოდაო, რადგან გონება დაკარგა და კარგად დანახვა ვერ მოასწრო), ისე მეორე დაზარალებულმა. იქაც არავინ იყო. როგორც ჩანს, დადარაჯებულები იყვნენ და ზუსტად ისეთი მომენტი შეარჩიეს, როცა ცოტნეს გარშემო არავინ იმყოფებოდა. ყოველივე სახლიდან უმოკლესი მანძილის დაშორებით ხდება. სულ რაღაც 10-15 თუ 20 წუთის სხვაობით დავით ბაჯელიძე ესხმიან თავს. ამ დროს დავით ბაჯელიძე გადაჰყავთ სასწრაფო-სამედიცინო დახმარებით, ხოლო ცოტნე გამსახურდია კი ძირს დგია, კაციშვილი იქ არ არის და მასთან პოლიცია და ბადრაგი მიდის. შემდეგ კოლხური კოშკის ნანგრევებში ვარდებიან, სადაც ყველაფერს ურევენ, მათ შორის, იპარავენ ცოტნე გამსახურდიას ტანსაცმელს. მოპარულია არა მხოლოდ ერთი სპორტული ტანსაცმელი, რომელიც, როცა ადვოკატმა ბექაურმა საქმე გააცნო ცოტნე გამსახურდიას, იქ აღმოაჩინა. ამას აქ რა უნდა, ეს ტანსაცმელი წლებია რაც არ მცმია, რადგან პატარა იყოო. ამის გარდა, სხვა ტანსაცმელიც მოპარეს ცოტნე გამსახურდიას. ამას დიდი სამედიცინო განათლება არ სჭირდება. მათ კი გონებადაკარგული ბავშვი, ტვინის შერყევით, გულის რევით მიჰყავთ სადღაც პოლიციაში, აგდებენ მარტო და არავინ ფიქრობ მის დახმარებაზე. გარდა ამისა, დილაუთენია 8 საათიდან 9-ის 15 წუთამდე იკრიბება სასამართლო, ჩვენ ამის შესახებ შეტყობინება არ მიგვიღია და ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ 2-თვიანი პატიმრობის განაჩენი გამოაქვთ. რამდენად ასატანი და მოსათმენია ეს, — აცხადებს მანანა არჩვაძე-გამსახურდია.

ცრუ დასმენის ბრალდებით დაკავებული ლომიძე დანაშაულს არ აღიარებს

ცრუ დასმენისა და თაღლითობის მომზადების ბრალდებით დაკავებული „ალიანსი საქართველოსთვის“ ყვარლის რაიონული შტაბის უფროსი და რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვანო ლომიძე დანაშაულს არ აღიარებს.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს კახეთის საინფორმაციო ცენტრმა აცნობა.

ლომიძის განცხადებით, მანქანა მას არ დაუწვავს, მაგრამ იძულებული იყო პოლიციელებისათვის აღიარებითი ჩვენება მიეცა.

ვანო ლომიძე შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 2009 წლის 29 აპრილს დაკავებეს. გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ლომიძე ამბობს, რომ საკუთარ მანქანას ცეცხლი პიარის მიზნით. თავად წაუკიდა. ლომიძეს ბრალი ცრუ დასმენასა და თაღლითობის მომზადებაში ედება, რაც 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. იგი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. გამოძიების დასრულების შემდეგ მან კახეთის საოლქო პროკურატურას საბოლოცესო გარიგების თხოვნით მიმართა, რაზედაც უარი მიიღო. ლომიძის საქმე ყვარლის რაიონულ სასამართლოს განსახილველად აგვისტოში გადაეცა, მაგრამ საქმის განხილვის დაწყება ამ დრომდე არ მომხდარა.

რესპუბლიკური პარტიის წევრის სოფო ხორგუანის განცხადებით, "დაკავებამდე ლომიძეს ანაბეჭდები ისე აუღეს, რომ იგი არც ეჭვმიტანილად იყო ცნობილი და არც მოწმედ".

— შს სამინისტროს მიერ აღიარებითი ჩვენების გავრცელებამდე, რამდენიმე საათის განმავლობაში, ვანო ლომიძის ადგილსამყოფელი უცნობი იყო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის თელავის პოლიციაში ჰყავდათ. ლომიძის პირველ დაკითხვას ადვოკატი არ დასწრებია, — აღნიშნავს ხორგუანი.

პრაიმ-ნიუსი



მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608

ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

სამხრეთ აფრიკა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებას არ აპირებს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებას არ აპირებს. ეს განცხადება უკრაინასა და საქართველოში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ელჩმა ანდრეს ვენთერმა რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან თემურ იაკობაშვილთან შეხვედრისას გააკეთა. შეხვედრის შემდეგ, იაკობაშვილი საქართველოში რუს ექსპერტთა არშემდგარ ვიზიტსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ რუსეთი ცდილობს დიპლომატებისა და ექსპერტების დონეზე განაცხადოს, თითქოს დაბომბვებისა და ტერიტორიების წართმევის მიუხედავად, ქართველი ხალხი უყვარს.

მინისტრის განცხადებით, თუ რუსეთს ქართველი ხალხი უყვარს, ეს პროფესორების გამოგზავნით კი არა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარის გაყვანით უნდა დაამტკიცოს.

მედიანიუსი

მოსკოვში ლადო გუდიაშვილი გამოფინეს

ეკა ირემაშვილი

მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „პარიზული წლები“ მოეწყო. გამოფენაზე მხატვრის 60 ნამუშევარი და ქართველი მსახიობების შესახებ შესრულებული ესკიზები გამოიფინა, რომელიც გუდიაშვილმა პარიზში ცხოვრების პერიოდში, 1919-1926 წლებში შექმნა.

ლადო გუდიაშვილი XX საუკუნის ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარია. იგი თბილისში კავკასიის ნატიფი ხელოვნების საზოგადოების ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში სწავლობდა. მისი პირველი ნახატები ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა. 1916 წელს სხვა მოღვაწეებთან ერთად გუდიაშვილმა დააარსა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება. იგი მონაწილეობდა ექვითმე თაყაიშვილის მიერ მოწყობილ სამხრეთ საქართველოს ექსპედიციაში, სადაც გაეცნო ქართულ ძეგლებს, იღებდა ფრესკების პირებს. ლადო გუდიაშვილი მონაწილეობას იღებდა რესტორან „ქიმერიონის“ მოხატვაში, ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენაში.

1919-1926 წლებში ლადო გუდიაშვილი პარაზის რონსონის ე.წ. „თავისუფალ აკადემიაში“ მეცადინეობდა. აქტიურად მონაწილეობდა გამოფენებში, რომლებიც პარიზში, ბელგიაში, ამერიკაში და სხვა დიდ ქვეყნებში იმართებოდა. პარიზში ქართველმა მხატვარმა პერსონალური გამოფენებიც გამართა. პრესა ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ქართველი შემოქმედის მიმართ და ფართოდ აშუქებდა მის შემოქმედებას. 1925 წელს პარიზში გამოვიდა წიგნი გუდიაშვილის შესახებ, მისი ნამუშევრები კი შეიძინეს კერძო კოლექციონერებმა და მადრიდის მუზეუმმა „პრადომ“.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ლადო გუდიაშვილი მონუმენტურ-დეკორატიულ მხატვრობას ასწავლიდა, აქტიურად მუშაობდა როგორც ფერმწერი, გრაფიკოსი (წიგნების გაფორმება, ილუსტრაციები), თეატრისა და კინოს მხატვარი, მონუმენტალისტი. 1957 წელს თბილისში გაიმართა მისი ნაწარმოებების დიდი რეტროსპექტული გამოფენა, რომელსაც განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად. მოგვიანებით ეს ექსპოზიცია მოსკოვშიც გადაიტანეს. ლადო გუდიაშვილი ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ხელოვნებაში ეროვნული ფორმის ძიება. მისთვის მიუღებელი იყო აბსტრაქციონიზმის სხვადასხვა სახეები, კუბიზმი, მაგრამ მას იმთავითვე ჰქონდა მიდრეკილება დეკორაციულობისა და მახვილი ექსპრესიულობისადმი, რაშიც იგი ეროვნულ თავისებურებათა გამოვლინებას ხედავდა. ლადო გუდიაშვილზე დიდი გავლენა მოახდინა ძველმა ქართულმა კედლის მხატვრობამ და მინიატურამ. შემოქმედების პირველ წლებში გუდიაშვილის თემატიკა მოიცავდა ძველი თბილისის ბოჰემური ცხოვრების სცენებსა და საქართველოს წარსულის მიერ შთაგონებულ ლეგენდებსა და სიუჟეტებს. თბილისური ბოჰემისადმი მიძღვნილ საუკეთესო სურათებში მხატვარი ღრმა დრამატულ გამომსახველებას აღწევს. პარიზში ყოფნის დროს მან ჩაუყარა საფუძველი მორალური და სოციალური თემებისადმი მიძღვნილ სატრფიალო ხასიათის ნახატების ციკლსაც.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ლადო გუდიაშვილის თემატიკა გაფართოდა. მის შემოქმედებაში ასიახად ქართველი ხალხის წარსული. გარკვეული პერიოდი მხატვარი ქართველ პოეტთა ჯგუფს „ცისფერყანწელებს“ ეკუთვნოდა, რომელთა მიზანი ქართული ეროვნული ხასიათის ევროპული და კერძოდ, ფრანგული სიმბოლიზმის შემოქმედებით სტრუქტურასთან ორგანული შერწყმა იყო. პარიზში ის განთქმული „ლა რუშის“ მწერალთა კოლონიის ხშირი სტუმარი გახლდათ. აქ ის ხვდება ზულოაგას, ამედეო მოდილიანის, ნატალია გონჩაროვას და მიხაილ ლარიონოვს. იმ პერიოდის ლადო გუდიაშვილისეულ შემოქმედებას ნიკო ფიროსმანაშვილის დიდი გავლენა ეტყობა. მომხიბვლელი ქართული ადათ-წესებით აღსავსე მხატვრის ადრეულ ნამუშევრებში დრამატული გროტესკი შეერწყა პოეტური მისტერიის შარმს. კავკასიურ და სპარსულ ტრადიციებთან სიახლოვე უფრო აშკარა გახდა მხატვრის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. ფერები უფრო თბილი გახდა, ხოლო მსოფლიოს, როგორც თეატრის, აღქმა კი — უფრო ძლიერი. თანამემამულეობა მსგავსად ხელოვანი ხშირად იყენებდა მითოლოგიურ ალეგორიებს, რომლის ცენტრშიც გრაციოზულად მომხიბლავი ქალბატონი წარმოდგენილი იყო როგორც იდუმალი „დედამიწის ქალღმერთი“.

ლადო გუდიაშვილი ასევე ცნობილია, როგორც მონუმენტალისტი. 1946 წელს მან თბილისში ქაშვეთის ეკლესიის კედლები მოხატა, რისთვისაც ის კომუნისტური პარტიდან გარიცხეს და თბილისის სამხატვრო აკადემიდან დაითხოვეს. ქართველი მხატვარი წიგნების ილუსტრაციებზეც მუშაობდა, იყო კინოსა და თეატრის დეკორატორი.

მოსკოვში ტრეტიაკოვის გალერეაში გამართული გამოფენისთვის მისმა ორგანიზატორებმა ნახატები მუზეუმისა და სხვადასხვა პირადი კოლექციებიდან აიღეს. ექსპოზიციის ავტორების განცხადებით, მსგავსი კულტურული ღონისძიებები რუსეთში ხშირად უნდა მოეწყოს, რადგან ეს, ორ ერს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს და რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობებსაც დაათბობს.

ირაკლი კაკაბაძე საერთაშორისო პენკლუბმა დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მწერალი ირაკლი კაკაბაძე საერთაშორისო პენკლუბის მიერ დაჯილდოვდა.

საერთაშორისო პენკლუბმა დაოქსგამ ნოვიბის კომიტეტმა საუკუნის 2009 წლის პრემიების ლაურეატები გამოაცხადა. 2009 წელს ამ პრიზით მსოფლიოში სულ ხუთი ლაურეატი დაჯილდოვდა. ესენი არიან ევანგელი გაინოის ან ქვეყნის კინოს წარუდგენს მაყურებელს.

წელს „ფოკუსში“ შავი ზღვის ქვეყნების ახალი კინო მოექცა. ბულგარულ, თურქულ, უკრაინულ, რუსულ და რუმინულ ფილმებთან ერთად პროგრამაში ხუთი ქართული ფილმი იყო წარმოდგენილი: სოსო ჯაფარიძის „სვანი“, ზაზა რუხაძის „ნაკეცები და ბზარები“, ნუცა ალექსი-მესხიშვილის „ბედნიერება“, სალომე ჯაშის „ბათი ვერტმფრენი“ და შალვა შენგელაის „უცნობი ჯარისკაცები“.

მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსში მონაწილეობდა ვანო ბურდულის სურათი „კონფლიქტის ზონა“, ხოლო სექციაში „სპეშალს“ კიდევ ერთი ქართველი რეჟისორის ნანა ჯორჯაძის ფილმი აჩვენეს.

ქართული ფილმების ტრიუმფი გრძელდება

ეკა ირემაშვილი

ქართული ფილმების ევროპულ კინოფესტივალებზე ტრიუმფით ჩვენება კვლავაც გრძელდება. კოტბუსში აღმოსავლეთევროპული კინოს ფესტივალზე ხუთი ქართული ფილმი იყო წარმოდგენილი.

კოტბუსში კინოფესტივალი წელს მეცხრამეტედ ჩატარდა. ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთევროპული კინოს ფესტივალს ორი საკონკურსო პროგრამის (სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ფილმების) გარდა, კიდევ შვიდი ტრადიციული სექცია აქვს, მათ შორის „ფოკუსი“, რომელიც ყოველწლიურად რომელიმე რეგიონის ან ქვეყნის კინოს წარუდგენს მაყურებელს.

წელს „ფოკუსში“ შავი ზღვის ქვეყნების ახალი კინო მოექცა. ბულგარულ, თურქულ, უკრაინულ, რუსულ და რუმინულ ფილმებთან ერთად პროგრამაში ხუთი ქართული ფილმი იყო წარმოდგენილი: სოსო ჯაფარიძის „სვანი“, ზაზა რუხაძის „ნაკეცები და ბზარები“, ნუცა ალექსი-მესხიშვილის „ბედნიერება“, სალომე ჯაშის „ბათი ვერტმფრენი“ და შალვა შენგელაის „უცნობი ჯარისკაცები“.

მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსში მონაწილეობდა ვანო ბურდულის სურათი „კონფლიქტის ზონა“, ხოლო სექციაში „სპეშალს“ კიდევ ერთი ქართველი რეჟისორის ნანა ჯორჯაძის ფილმი აჩვენეს.

ქეთა თოფურია პუგაჩოვას უმღერებს

ეკა ირემაშვილი

ლეგენდარული ჯგუფ „ა სტუდიოს“ ქართველი სოლისტი ქეთა თოფურია მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალზე „ოქროს გრამფონი“ დიპლომერ ბესარიონის ექსკლუზიურ კოსტიუმში გამოცხადდა და თავისი გამჭვირვალე კაბით შოკში ჩააგდო საზოგადოება.

ქეთა თოფურიას საგანგებო კოსტიუმი მისმა მეგობრმა დიზაინერმა ბესარიონმა გამჭვირვალე ტრიკოტაჟის ქსოვილით შეუკერა.

— შეიძლება ითქვას, რომ შიშველი ვარ, — განაცხადა ქართველმა მომღერალმა, — ამ კოსტიუმის მთელი ხიბლი კი იმაშია, რომ ამ კაბაზე დიზაინერმა კლასიკური პიჯაკი შემომაცვა, რომელსაც ერთი სახელო არ აქვს. ბესარიონი ძალიან საინტერესო დიზაინერია. მან მთელ ჩვენს ჯგუფს ფუტურისტული ფანტაზიით გაჯერებული კოსტიუმები შეუკერა. ბესარიონი ჩემი მეგობარია და ხშირად ქმნის ჩემთვის ექსკლუზიურ კოსტიუმებს.

„ოქროს გრამფონამდე“ კი ჯგუფმა ჩაწერა სინგლი „სედმოე ნებო“, რომლის პრემიერა და საგანგებო კონცერტიც მოსკოვის ერთ-ერთ უდიდეს კლუბში გამართა. ჯგუფმა უკვე დაასრულა მუშაობა ფილმის „ჩორნაია მოლნია“ ამავე სახელწოდებით საუნდტრეკზე მუშაობა. როგორც ჯგუფის წევრები აცხადებენ, ფილმი საკმაოდ დინამიური და ენერგიულია და ძალიან ჰგავს ჯგუფის მუსიკალურ შემოქმედებას, ამიტომაც მათთვის ამ ფილმისთვის საუნდტრეკის შესრულება ძნელი სულაც არ ყოფილა. ფილმის რეჟისორი ალექსანდრე ვოინტინსკია, ხოლო პროდიუსერი — თემურ ბიკმამბეტოვი. ფილმის პრემიერა 31 დეკემბერს არის დაგეგმილი. 6 დეკემბერს კი ჯგუფი „წლის სიმღერაზე“ წარსადგენად ემზადება. „ა სტუდიოს“ ქართველი სოლისტი ქეთა თოფურია რუსული ესტრადის პრიმადონას ალა პუგაჩოვას უმღერებს. ჯგუფმა პრიმადონას ერთ-ერთი ჰიტის „პესენკა პრა მენიას“ თავისებური ქოვერ ვერსია სახელწოდებით „ტაკ ჟე კაკ ვსე“ ჩაწერა და გამოსვლისთანავე გაჰიტდა. სიმღერა ჯგუფმა ალა ბორისოვნას დაბადების დღისთვის ჩაწერა და ახლებური ვერსიით უსახსოვრა. როგორც „ა სტუდიოს“ წევრები აცხადებენ, ალა პუგაჩოვამ ექსკლუზივი პირადად ქეთა თოფურიას მისცა, პრიმადონა მათი სასცენო ნათლიაცაა, ამიტომ მათთვის „წლის სიმღერაზე“ პრიმადონას დასწრება დიდი პატივია.

თინა კანდელაკი წლის ქალია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მოხიბლეს აუდიტორია, მასმედიის წარმომადგენლებმა დაასკვნეს, — რუსეთში ეკონომიკური კრიზისი უკვე დასრულდაო. წითელ ხალიჩაზე თინასთან ერთად გამოჩნდა ქსენია სობჩაკიც, რომელმაც მთელი წლის განმავლობაში საზოგადოებას მოდუნების საშუალება არ მისცა.

ორგანიზატორებმა არჩევანი თინა კანდელაკსა და ქსენია სობჩაკს შორის ვერ გააკეთეს, ამიტომ „წლის ქალის“ ტიტული ორივემ თანაბრად გაინაწილა. წლის ქალად აღიარებულ ქსენია სობჩაკს მოულოდნელი სიურპრიზი ელოდა წინ. თეატრიდან გამოსვლისას დაუდგენელმა პირმა მას პომიდორი ესროლა.

„წლის ქალის“ ტიტულის მოპოვებიდან მეორე დღესვე თინა კანდელაკი ავტოავარიაში მოყვა. მას მოსკოვში სადგურ კუდრინსკის ქუჩაზე ჰიუნდაის ტიპის ავტომანქანას დაეჯახა. თინა კანდელაკი ერთ-ერთ რესტორანში შეხვედრაზე მიემგზავრებოდა.

განცხადება

2010 წლის 25 იანვარს, 13 საათზე, შპს „ვარციხე 2005“-ის ოფისში (წყალტუბოს რაიონი, სოფელი გეგუთი), გაიმართება შპს „ვარციხე 2005“-ის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

შპს „ვარციხე 2005“-ის მიმდინარე საქმიანობაა ვარცხიხის ჰესების კასკადის ექსპლუატაცია, ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

შპს „ვარციხე 2005“-ის ოფისში — წყალტუბოს რაიონი, სოფელი გეგუთი;

სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამას“ ოფისში — ქ.თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ.№9.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2010 წლის 20 იანვარი, 18 საათამდე.

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია

განცხადებები

● სილამაზის სალონ „შარმში“ უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. ბის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● გამოცდილი ექიმი ვმკურნალობ მამაკაცურ დაავადებებს: იმპოტენცია და პროსტატა. კონსულტაციისთვის დარეკეთ: 899-53-68-18; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისტი და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მეიდანზე (სუპერმარკეტ „ბიფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მეიდანზე (სუპერმარკეტ „ბიფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

„მსოფლიო დედოფალზე“ თათა ჯაშიაშვილი წარგვაგზავნის

ეკა ირემაშვილი

საერთაშორისო სილამაზის კონკურსზე „მსოფლიო დედოფალი“ საქართველოს თათა ჯაშიაშვილი წარადგენს.

„მსოფლიო დედოფლის“ ტიტულისთვის წელს 60 ქვეყნის ლამაზმანი იბრძოლებს. საეთაშორისო სილამაზის კონკურსზე ქართველი ბალერინა თათა ჯაშიაშვილი საქართველოს სილამაზის კონკურსების ფედერაციის პრეზიდენტმა გია ნადირაძემ წარადგინა. თათა ჯაშიაშვილამდე „მსოფლიო დედოფლის“ კონკურსზე 2006 წელს საქართველო ჯგუფ „ენსის“ წევრმა და მოდელმა ნათია ნებრიეიძემ წარადგინა. ქართველმა ლამაზმანმა მაშინ პირველი ადგილი ვერ მოიპოვა, თუმცა, „მის ელეგანტურობის“ ტიტული დაიმსახურა.

„მსოფლიო დედოფლის“ კონკურსი 3 დეკემბერს ბერლინში გაიმართება.

ფიფამ ირლანდიას უარი უთხრა

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ თხოვნით მიმართა ფიფას, რომ მსაჯის შეცდომის გამო მსოფლიოს ჩემპიონობის მიღმა დარჩენილი ირლანდიის ნაკრები მუნდიალზე 33-ე გუნდად დაეშვათ და არც მსაჯი და არც დამნაშავე ფეხბურთელი არ დაესაჯათ. ფიფამ, რომლის შემადგენლობა ამჟამად სამხრეთ აფრიკის ქალაქ კეიპტაუნში იმყოფება და მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრისთვის ემზადება, ირლანდიელთა თხოვნაზე უარი განაცხადა. როგორც ფიფას გენერალურმა მდივანმა ჟერომ ვალკმა განაცხადა, მსგავს ფაქტთან დაკავშირებით დადებითი პასუხის თქმის თეორიული შანსიც კი არ არსებობდა.

— ირლანდიურმა მხარემ შემოიტანა თხოვნა, მაგრამ ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ ასეთი რამის გაკეთება შეუძლებელია. ირლანდიელთა მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა კოსტა რიკის ნაკრებიც, რომელთა კარებში ურუგვაიელებმა აშვარა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანეს ბურთი და თავად გავიდნენ მუნდიალზე. გამოდის, მათთვისაც უნდა მიგვეცა უფლება ეთამაშათ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ირლანდიელთა თხოვნას თავდაპირველად ვუპასუხეთ, რომ აღმასრულებელ კომიტეტამდე მივიტანდით, მაგრამ თავად განსაჯეთ, ამ პრეცედენტის დაშვებას რა მოჰყვებოდა, ეს უბრალოდ შეუძლებელი იყო, — განაცხადა ვალკმა.

მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრა კი ხვალ გაიმართება, რომელშიც მსოფლიოს ყველა სახეობის ცნობილი სპორტსმენები მიიღებენ მონაწილეობას. მათგან, აფრიკაში ყველაზე დაფასებული ეთიოპიელი მძლეოსანი ჰაილე გებრესელასიეა, რომელმაც სახელი მარათონულ დისტანციებზე სირბილით გაითქვა. მის გარდა მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ აფრიკის კრიკეტის ნაკრების პირველი აფროამერიკული წარმომშობის წევრი მაჰაია ნტინი, სამხრეთ აფრიკის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი მეზუო ბუზი, სამხრეთ აფრიკის რაგბის ნაკრების კაპიტანი ჯონ სმიტი. ევროპელთაგან მათ გვერდს ინგლისელი ფეხბურთელი დეივდ ბექჰემი დაუმშვენებს. ფიფამ ასევე გამოითვალა და კენჭისყრის ცერემონიალს, სავარაუდოდ, 350 მილიონი ადამიანი მიადევნებს თვალს ტელეეთერით.

ბაჭი-გოლი და დე ბური ყაბარის ელჩები არიან

2022 წელს მსოფლის ჩემპიონატის მასპინძლობას ყატარი აპირებს და უკვე გამოაცხადა იმ ყოფილი ფეხბურთელების ვინაობა, რომლებიც ამ ქვეყნის ელჩები იქნებიან ფიფაში, რათა მათ დაუფასტურონ, რომ ყატარს შეუძლია მასპინძლობა გაუწიოს მნიშვნელოვან ფორუმს — არგენტინელი გაბრიელ ომარ ბატისტუტა და ჰოლანდიელი რონალდ დე ბური.

შეგახსენებთ, ბატისტუტა არგენტინის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია და მსოფლიოს ჩემპიონატზე 3-ჯერ არის ნამყოფი, ხოლო დე ბური ჰოლანდიის ნაკრების ღირსეული ორჯერ იცავდა მუნდიალზე. ორივე ფეხბურთელმა თავიანთი საფეხბურთო კარიერა სწორედ ყატარში დაასრულეს და სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს იქაური ფეხბურთის მამებმა მათი ამ საპასუხისმგებლო მისიით ფიფაში გაგზავნეს.

გაბრიელ ბატისტუტა:

— კარიერის მინურულს ყატარში ვთამაშობდი და თუ ეს ქვეყანა 2022 წელს მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, შესანიშნავი სანახაობა იქნება. მინდა ეს ამბავი მთელმა მსოფლიომ გაიგოს, რადგან ყატარს საფეხბურთო თვალსაზრისით უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

რონალდ დე ბური:

— ჩემთვის დიდი პატივია იმ კამპანიაში მოხვედრა, რომელიც ყატარს ელჩობას გაუწევს ფიფაში. ვფიქრობ, უკვე დადგა იმის დრო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ახლო აღმოსავლეთში ჩატარდეს. თუ გავითვალისწინებთ ჩემს გამოცდილებას და იმასაც, რომ 5 წლის განმავლობაში ყატარში ვთამაშობდი, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ქვეყანას ყველაფერი გააჩნია მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის.

საკლუბო ვერცხლი თურქეთიდან

თურქეთის ქალაქ ბურსაში გაიმართა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი თავისუფალ სტილით მოჭიდავეთა შორის, რომელშიც „თბილისი 2007“-იც მონაწილეობდა. ქართველმა კლუბმა მხოლოდ ფინალური მატჩი დათმო და ვერცხლის მედლები მოიპოვა. ჯგუფურ ეტაპზე „თბილისი 2007“-მა აზერბაიჯანული და ბელორუსული გუნდები ერთნაირი ანგარიშით, 4:3 დაამარცხა. სამაგიეროდ, ძალიან იოლად (6:1) ნახევარფინალში რუმინული გუნდი დაამარცხა. სანუხარიდ, აღებული ტემი ფინალში ვერ შეინარჩუნეს და 2:5 წააგეს მასპინძლებთან. მთლიანობაში ქართველი მოჭიდავეების გამოსვლა დადებითად უნდა შეფასდეს და ეს სპორტსა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზეც აღინიშნეს.

კახა გეწაძე (ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი):

— ევროპის საუკეთესო გუნდებს შორის მეორე ადგილის დაკავება დიდი წარმატებაა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდში არ იყვნენ ნაკრების ძირითადი ლიდერები, მაინც მოვახერხეთ და სეზონი წარმატებით დავასრულეთ. სახეხარულოა ისიც, რომ ახალგაზრდებმა დაგვანახეს თავიანთი პოტენციალი და ნაკრების ძირითად წევრებს მომავალში სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ.

დავით ნამგალაური (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე):

— პირველ რიგში, დიდი მადლობა ბიჭებს კარგი შედეგისთვის, რაც ახალგაზრდა მოჭიდავეებმა მოგვიტანეს. წინ საქართველოს ჩემპიონატია და იმედი გვაქვს, იქაც ღირსეულად გამოვლენ და ნაკრებში მოსახვედრად გადადგამენ ნაბიჯებს. მართალია, ძნიმე კონკურენცია ელით, მაგრამ მიუღწეველი არაფერია. გპირდებით, ეს წარმატება დაგიფასდებათ.

დავით ხურცია (თავისუფალ სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელი):

— ეს ტურნირი ახალგაზრდა მოჭიდავეების გამოცდას ემსახურებოდა და მიხარია, რომ ბიჭებმა საქმეს თავი კარგად გაართვეს. ყველა მათგანმა კარგად იჭიდაობა და მეტი იმედი ჩაგვისახა.

„თბილისი 2007“-ის შემადგენლობა ჯი ბურსაში გამართულ ტურნირზე ასეთი იყო: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55 კგ), მალხაზ ქურდიანი (60), გოგა ხუჭუა (66), მალხაზ მუზიაშვილი (74), დავით მარსაგიშვილი (84), ბელდუზ გავაშელიშვილი (96), გიორგი საკანდელიძე (102).

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. ლიგის თასი

პორტსმუთი-ასტონ ვილა 2:4
მანჩესტერი-ტოტენჰემი 2:0

იტალია. თასი

ტრიესტინა-სასუოლო 1:0
სამპდორია-ლივორნო 1:2

საფინანგეთი. II ლიგა

ანჟე-ნიმი 1:0
აიაჩო-ლავალი 1:1
ბრესტი-ისტრი 1:0
ვანი-ტუარი 1:2
კლერმონი-დიჟონი 0:2
შატორუ-გენგამპი 0:1
არლი-მეცი 2:0
სედანი-ნანტი 3:0
სტრასბური-ბასტია 2:1

კალათბურთი

ნბა. ჩეხეთის ჩემპიონატი

ტორონტო-ვაშინგტონი 102:106
შარლოტი-ბოსტონი 90:108
ნიუ იორკი-ფინიქსი 126:99
დენვერი-გოლდენ სტეიტი 135:107
პორტლენდი-მაიამი 100:107
ლეიკერსი-ნიუ ორლეანი 110:99

უეჩოთასი

აზოვმაში-აღბა 73:74
ტრიუმფი-ჰემოფარმი 83:82
დინამო(მ)-შოლე 64:72
ბეშიქთაში-ბონი ..... 102:98(ოტ)
ნიმბურკი-ვენტსპილსი 79:57
ტელეკომი-შარლერუა 91:67
შიაულაი-ზადარი 91:95

ვლადიმერ ბოისამ ზადარს 8 ქულა შესძინა

არისი-პაპოელი 81:77
ბილბაო-სპარტაკი(სპ) 85:62
ნანსი-პანილინიოსი 82:81
ბენეტონი-ცრვენა ზვეზდა 71:78
ვალენსია-ლე მანი 74:73
ტერამო-გალათასარაი 96:87
ჟუვენტუდი-უნიკაი 71:82
კანარია-ტუროვი 85:74

ჰოკეი

ნჰლ. ჩეხეთის ჩემპიონატი

მონრეალი-ტორონტო 0:3
ჩიკაგო-კოლამბისი ..... 3:3(1:0ბ)
ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი 3:4
სან ხოსე-ოტავა 5:2

იანა ტურე: „აფრიკული ფეხბურთი ევროპას მიუახლოვდა“

კოტ დივუარის ნაკრები ზედიზედ მეორედ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. 2006 წელს აფრიკელებს ნამდვილად არ გაუმართლათ, როდესაც ჯგუფში არგენტინისა და ჰოლანდიის ნაკრებ გუნდებთან ერთად მოხვდნენ, მაგრამ გულშემატკივრებს დასამახსოვრებელი მატჩები აჩუქეს.

2010 წელს გუნდი, რომლის ლიდერი დიდი დროგბაა, კიდევ ერთხელ შეეცდება თავისი ფეხბურთის ჩვენებას. დროგბას თანაგუნდელებიც არანაკლებ ვარსკვლავური ჰყავს. ერთერთი მათგანი „ბარსელონას“ საყრდენი ნახევარმცველი იაია ტურეა, რომელთან ინტერვიუ ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

— ზედიზედ მეორედ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ კოტდივუარლთა წარმატებად. როგორ აღიქვამენ ამ ფაქტს თავად თქვენს სამშობლოში?

— ფეხბურთელებისთვის და მთლიანად ხალხისთვის ეს წარმატება, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. 2010 წელს გასამართლო მუნდიალი მთლიანად აფრიკის კონტინენტისთვისაც განსაკუთრებულია. პირველი აფრიკული თაობა ვართ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატს საკუთარ კონტინენტზე ითამაშებს. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ ზეიმის მონაწილე ჩვენი გუნდიც იქნება. წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ რამდენს მოახერხებს ჩვენი გუნდი მომავალ მუნდიალზე, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — შესაძლებლობის მაქსიმუმს გავიღებთ. წინა მსოფლიოს ჩემპიონატი საფუძვლიანად გავაანალიზეთ და დავშვებული შეცდომები გამოვასწორეთ. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი თამაში ამჯერად იდეალური იქნება, მაგრამ იმდენს მაინც შევძლებთ, რომ ძველი შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

— აფრიკის კონტინენტის შესარჩევი ეტაპი კოტ დივუარის ნაკრებმა შესანიშნავად ჩაატარა და მეტოქის კარში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა. მაინც რა არის თქვენი გუნდის წარმატების საიდუმლო?

— შესარჩევი ეტაპის გავლა იოლი არასდროს არ არის, რადგან ყველა გუნდს სურს მუნდიალის საგზური თავად მოიპოვოს. წარმატებას ყველა მატჩში მაქსიმალური კონცენტრირებისა და ენერგიის დახარჯვის წყალობით მივაღწიეთ.

ყველა მათგანთან ძნელი თამაში გვქონდა. მაგალითად, ბურკინა ფასოს ყველაზე მებრძოლი გუნდი ჰყავს, ხოლო მალავი — ძალიან არაპროგნოზირებადი. აფრიკაში საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა ძნელია, განსაკუთრებით იმ გუნდებისთვის, რომელთა ფეხბურთელთა უმრავლესობა ევროპაში თამაშობს და იქ მატჩებზე ჩასასვლელად დიდი მანძილის დაფარვა უწევთ.

— კოტ დივუარს 2010 წელს გასამართლო ფინალის ჩემპიონატის გამოკვეთილ ფავორიტად არა, მაგრამ ერთერთად მიიჩნევენ. როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ გულშემატკივრებს იმედები გაუმართლოთ?

— გულშემატკივარი მიიჩნევს, რომ აფრიკის კონტინენტზე საუკეთესო გუნდი გვყავს და ეს ჩვენზე ზეწოლას აძლიერებს. ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიოს ჩემპიონობას აუცილებლად მოვიგებთ, მაგრამ მიზნად ნამდვილად გვაქვს დასახული. ამისთვის მთავარია საკუთარ თავზე მოვახდინოთ კონცენტრირება. სპეციალისტებმა და გულშემატკივრებმა შესაძლოა, ფავორიტად შეგვრაცხონ, მაგრამ ამას დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. გუნდშიც ვიცით, რომ დასახული მიზნის მიღწევა შეგვიძლია. 2006 წელს ჟინი და მონდომება არ გვაკლდა, მაგრამ არ გვეყო გამოცდილება. ამასთან ძალიან რთულ ჯგუფში მოვხვდით.

— კოტ დივუარის გარდა, აფრიკის კონტინენტზე კიდევ რომელ გუნდს გამოარჩევდით, რომელსაც შეუძლია წარმატებაზე იფიქროს?

— რა თქმა უნდა, განას. მათ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ და დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრს გააოცებენ. ასევე გამოსარჩევია კამერუნის ნაკრები, რომელსაც ისტორიულად ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავს.

— რამდენად შეძლებენ მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე აფრიკული გუნდები ღირსეულად გამოსვლას?

— აფრიკულმა გუნდებმა კარგად იციან თუ რა ელით წინ. ამ გუნდებს დიდი პერსპექტივები გააჩნიათ. ჩვენი კონტინენტის წარმომადგენლები უკვე კარგ ფეხბურთს თამაშობენ და საკმარისად არიან მზად იმისთვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს მხოლოდ სტატისტიკის რანგში არ დაესწრონ. თუ აფრიკული გუნდების თამაშს შეხედავთ, შეამჩნევთ, რომ ევროპული გუნდებისგან დიდად არ განსხვავდებიან და ეს ფაქტი მუნდიალს უფრო საინტერესოს გახდის.

— თქვენი ძმაც ფეხბურთელია. რამდენად დიდი გავლენა იქონია კოლო ტურემ თქვენს კარიერაზე?

— როდესაც „ბარსელონაში“ გადავედი, მითხრა, რომ წინ რთული პერიოდი მელოდა, მაგრამ გამამხნევა და თავდაუზოგავი შრომისკენ მომიწოდა. თავად კოლო ძალზე დისციპლინირებული ადამიანია და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. კოლომ თავის კარიერაში ბევრს მიაღწია და ამის გამო პატივისცემას იმსახურებს. ჩემზე მეტიც აქვს ნანახი და მის რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებ.

— „ბარსელონაში“ უკვე 2 წელია რაც თამაშობთ. როგორ შეაფასებდით „კამპ ნოუზე“ გატარებულ პერიოდს?

— როდესაც „ბარსელონას“ გახდელის კარს შეაღებ, არ შეიძლება აღელვებული არ იყო. მოვიტყუებ, თუ ვიტყვი, რომ არ ვღელავდი, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ჩემს თავს ვუთხარი, რომ ბარსელონაში საქმეების გასაკეთებლად ვიყავი ჩასული და არა უსაქმოდ გასაჩერებლად. პირადად ჩემთვის ახალ კლუბთან შეგუება აღვილი არ ყოფილა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ უნდა შევჭიდებოდი კლუბსაც და ქალაქსაც.

— თქვით, რომ ბოლომდე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი ხართ?

— არა, ბოლომდე ნამდვილად არა. უკეთაც შემიძლია თამაში. ესპანეთში ჩასვლისთანავე ჩემი პირველი საზრუნავი იყო, რომ მალე მოვხვედრილიყავი „ბარსელონას“ პირველ გუნდში. ბევრი აფრიკელი ფეხბურთელის გახსენება შეიძლება, რომლებსაც ევროპაში ჩასვლისთანავე გაუჭირდათ მალე ადაპტირება, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მოახერხეს და შესანიშნავ ვარსკვლავებად ჩამოყალიბდნენ.

— თქვენ სანაკრებო თემას დაუბრუნდებით და რამდენად მნიშვნელოვანი ეგონა კოტ დივუარის ნაკრებისთვის დიდიე დროგბა?

— დროგბა ჩვენი გუნდის ლიდერია. დიდიეს თავის თავი ნაკრებისთვის ნაჩუქარი აქვს და თანაგუნდელები მისგან ბევრ რამეს ვსწავლობთ. დროგბას არ უყვარს ბევრი ლაპარაკი — შედეგს მოედანზე და თავის საქმეს უსიტყვოდ აკეთებს. ნაკრებში ყოფნისას ინდივიდუალურ შედეგებს ყურადღებას არ ვაქცევთ — ჩვენთვის მთავარია გუნდის წარმატება.

— მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების ადგილზე, სამხრეთ აფრიკაში რამდენჯერმე ყოფილხართ. რა შთაბეჭდილება დატოვა ამ ქვეყანამ?

— ეს არის აფრიკის ერთ-ერთი საუკეთესო და ლამაზი ქვეყანა. მათი დიდი უპირატესობა ის არის, რომ სხვებზე უკეთესი ინფრასტრუქტურა აქვთ. ვფიქრობ, სამხრეთ აფრიკაში კარგი მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება და როგორც აფრიკის წარმომადგენელი, ამ იდეას თავიდანვე ვუჭერდი მხარს.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ქართული ძიუდოს ბედი ქუთაისში გადაწყდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მისახვედრია, რამ შეიძლება გამოიწვიოს რომელიმე შვიდეგრის დროს კამათი და უთანხმოება. კულუარულად, ნაკრების ახლანდელი თავკაცობა, ფედერაციასთან ერთად თავიანთთვის სასურველი მოჭიდავეებისა გასამარჯვებლად იმუშავებენ და ქუთაისში დიდ ვნებათაღელვას არ გამორიცხავენ. ამიტომ, თუ შეჯიბრება ჟურნალისტების თვალს იქნება მოფარებული, გაცილებით მომგებიანი იქნება მათთვის. აეჭომატურად, ესპეციფრში ვერმოხვედრილ ჟურნალისტებს სიმართლის დადგენა, რომელსაც ორივე მხარე მათთვის სასურველ კალაპოტში წაიყვანს.

რაც შეეხება თავად შეჯიბრებას, გადაწყვეტილია, რომ შვიდივე წონაში 32 მონაწილე იჭიდავებს. ფედერაციამ უკვე ქვოტებიც დაადგინა, თუ რომელი რეგიონიდან რამდენი ძიოდოისტით შეეძლება მონაწილეობის მიღება.

4-4 მონაწილეს თითოეულ წონაში გამოიყვანენ იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლისა და თბილისის გუნდები. 2-2 მონაწილე ეყოლებათ აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის გუნდებს, ხოლო თითო წარმომადგენლები გურიის, სამცხე-ჯავახეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გუნდებს ეყოლებათ.

დღის კალენდარი

3 დეკემბრისთვის

ნლის 337-ე დღე, ახალი ნლამდე დარჩა 28 დღე.

საეკლესიო კალენდარი

26-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.

წინადღესასწაული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა. ხსენება ღირსი გრიგოლ დეკაპოლელისა (816); წმიდა პროკლესი - კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსისა (446-147); მოწამე დასისა (III); მოწამეთა ევსტათისა, თესპესი და ანატოლისა (312); მღვდელმოწამეთა: ნერსე ეპისკოპოსისა და იოსებ მოწაფისა მისისა, იოანესი, სავერისა, ისაკაკისა და იაბაისა - სპარსელ ეპისკოპოსთა და მოწამეთა აზატი საჭურისისა, სასონისა, თეკლესი, ანნანი და სხვათა მრავალთა დედათა და მამათა, სპარსეთში წამებულთა (343).

ღირსი მამა გრიგოლ დეკაპოლელი დაიბადა ქალაქ დეკაპოლში. სიყრმიდანვე შეუყვარდა მას ღვთის ტაძარი და საეკლესიო მსახურებანი. მთელი თავისი ცხოვრება, ნებარ აღსასრულამდე ღვთის სიტყვას ქადაგებდა. თავისი მაღალი სულიერი ღვაწლითა და წმინდა ლოცვებით ღირსმა გრიგოლ დეკაპოლელმა წინასწარმეტყველებისა და საკვირველმოქმედების მადლი მოიპოვა. წმინდანმა 816 წელს მშვიდობით მიიბარა სული უფალს.

წმინდა მოწამენი: ევსტათი, თესპესი და ანატოლი, მკვიდრნი ქალაქ განგრისა, მდიდარი ვაჭრის ძენი იყვნენ. ისინი ეპისკოპოსმა ანთიმოზ ნიკომიდიელმა მონათლა. წმინდა ძმები მოწამებრივად აღესრულნენ ქალაქ ნიკეაში, მას შემდეგ, რაც უსასტიკესი საბანჯგვლენი დაითმინეს.

წმინდა მღვდელმოწამე ნერსე და მისი მოწაფეები ევნენ სპარსეთში, საპორ მეფის მიერ გამოცხადებულ ქრისტიანთა დევნის დროს.

წმინდა მღვდელმთავარი პროკლე, მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა, სიჭაბუკის წლებიდანვე მთელს დროსა და ძალებს ლოცვასა და სალმრთო წერილის შესწავლას ახმარდა. უფალმა დიდი ბეჭდნიერება ღირსი გახადა პროკლე. იგი მღვდელმთავარ იოანე ოქროპირის მოწაფე იყო, რომელმაც იგი დიაკვნად აკურთხა და შემდეგ ხუცესად.წმინდა პატრიარქ ციცერონიოს გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსად მღვდელმთავარი პროკლე აირჩიეს, რომელიც 12 წლის განმავლობაში განაგებდა ეკლესიას.

კონსტანტინოპოლის მრევლს მეტად უყვარდა თავისი პატრიარქი მისი მოსაგრე ცხოვრებისათვის, მისი ზრუნვისათვის გაჭირვებულებზე და მისი ქადაგებისათვის. წმინდანი ხანდაზმულ ასაკში გარდაიცვალა.

დაიბადნენ:

1596 — ნიკოლო ამატი, განთქმული იტალიელი მეგიოლინე, გარდაიცვალა 1664 წელს.

1823 — სტანისლავ დოსპევსკი, ბულგარეთის აღორძინების ეპოქის ფერმწერი, გარდაიცვალა 1878 წელს.

1857 — ჯოზეფ კონრადი, ინგლისელი მწერალი, გარდაიცვალა 1924 წელს.

1883 — ანტონ ვებერი, ავსტრიელი კომპოზიტორი და დირიჟორი, გარდაიცვალა 1945 წელს.

1885 — გიორგი ჩუბინაშვილი, ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი, გარდაიცვალა 1973 წელს.

1887 — ძუკუ (პორფილე) ლილუა, მომღერალი, ლოტბარი და პედაგოგი. გარდაიცვალა 1942 წელს.

1901 — ლევან გოკიელი, მათემატიკოსი და ლოგიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გარდაიცვალა 1975 წელს.

1922 — ჟერარ ფილიპი, გამოჩენილი ფრანგი მსახიობი, გარდაიცვალა 1959 წელს.

გაჩეხიცვალნენ:

1743 — ვიტორე გისლანდი, იტალიელი ფერმწერი.

1789 — კლოდ ჟოზეფ ვერნე, ფრანგი ფერმწერი.

1894 — რობერტ სტივენსონი, ინგლისელი მწერალი, სათავგადასავლო რომანების ავტორი.

1919 — პიერ ოგიუსტ რენუარი, ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი.

მოვლენები:

1621 — გალილეო გალილეიმ გამოიგონა ტელესკოპი.

1818 — ილინოისი აშშ-ს 21-ე შტატი გახდა.

1910 — პარიზის ავტოგამოფენაზე პირველად იქნა დემონსტრირებული ნეონის ნათურა, რომელიც გამოიგონა ფრანგმა ფიზიკოსმა ჟორჟ კლოდმა.

1967 — კეიპტაუნში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) პირველად იქნა ჩატარებული გულის გადანერგვის ოპერაცია, რომელიც განახორციელა პროფესორმა კრისტიან ბერნარდმა.

1979 — ირანში მიიღეს ქვეყნის კონსტიტუცია.

1971 — ინდოეთსა და პაკისტანს შორის საომარი მოქმედებები დაიწყო.

ღიისსახსოვარი დღე:

ინვალიდთა საერთაშორისო დღე.

მედიანუსი

პიტერ დოჰერტიმ გერმანელებს ბოდიში მოუხადა

ბრიტანელმა როკმომღერალმა პიტერ დოჰერტიმ გერმანიაში „ონ 3 მიუზიქ“ ფესტივალზე თავისი ყოფაქცევის გამო ბოდიში მოიხადა. გვარიანად მთვრალმა მომღერალმა პირდაპირ სცენიდან მესამე რაიხის ჰიმნი „დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალეს“ შემოსძახა.

გერმანიაში ამ სიმღერის ტექსტი აკრძალული არ არის. მისი მესამე სტროფი ქვეყნის ოფიციალურ ჰიმნად არის აღიარებული, მაგრამ სიმღერის პირველ სტრიქონებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღარ ასრულებენ რადგან „დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალეს“ ადოლფ ჰიტლერის რეჟიმის ასოციაციებს იწვევს.

დოჰერტის ყოფაქცევით აღშფოთებულმა მაყურებელმა მუსიკოსს სტვენა და გინება დაუწყო, მიუხედავად ამისა, იგი არ დაშოშმინდა და სანამ სცენიდან გააძევებდნენ, კიდევ ხუთი სიმღერის შესრულება მოასწრო. მომღერლის წარმომადგენლების თქმით, პიტერ დოჰერტი მიყენებული შეურაცხყოფისათვის გულწრფელ ბოდიშს იხდის. მისი თქმით, მომღერალს უბრალოდ ბავარიაში თავისი სტუმრობის აღნიშვნა, მაყურებელთან შერწყმა სურდა, მაგრამ ამ სიმღერის ორჭოფული ხასიათის შესახებ არაფერი იცოდა.

როკერის მენეჯერის, ადრიან ჰანტერის თქმით, პიტერ დოჰერტი თავად ებრაული წარმომავლობისაა და ყოველთვის რასიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგი იყო.

შეგახსენებთ, რომ პიტერ დოჰერტი დიდ ბრიტანეთში „ცუდ ბიჭად“ ლამის ოფიციალურად არის აღიარებული. პანკ როკ ჯგუფ „ლიბერთინასის“ ყოფილი სოლისტი და ანსამბლ „ბეიბიშამბლესის“ ამჟამინდელი სოლისტი ნარკოტიკების მოხმარებისა და შეპატიმრებული. გარდა ამისა, იმითაც არის ცნობილი, რომ საკუთარი სისხლით ხატავდა ავტოპორტრეტებს და კინაღამ ცნობილი ტომ მოდელი, ქეით მოსი შეირთო ცოლად.

ვიაჩესლავ ტიხონოვი საავადმყოფოში მოხვდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დაადასტურეს, რომ პაციენტი მოტეხილობას გადაურჩა, მაგრამ ბარძაყის სახსარი სერიოზულად ჰქონდა დაშავებული.

ვიაჩესლავ ტიხონოვი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უპირველეს ყოვლისა საბჭოთა მზვერავის, შპრონლიცის როლის შესრულებით არის ცნობილი. გარდა ამისა, ცნობილია ფილმები მისი მონაწილეობით „შავყურა თეთრი ბიმი“, „ომი და მშვიდობა“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ და მრავალი სხვა.

ერაყელი „ფეხსაცმლის მსროლელი“ თავად იქცა სამიზნედ

ერაყელ ჟურნალისტ მუნთაძირ ზაიდის, რომელმაც 2008 წელს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტისათვის ფეხსაცმლის სროლით გაითქვა სახელი, პარიზში ერაყში ამერიკული სამხედრო ოპერაციის მსჯელობის შესახებ ლაპარაკობდა, როდესაც პრესკონფერენციაზე დამსწრე უცნობმა არაბულად შესძახა „ერაყი ოკუპირებული ტერიტორია არ არის, აჰა, შენ კიდევ ერთი ფეხსაცმელი“ და მას ფეხსაცმელი ესროლა.

ფრანგული პრესის თანახმად, ფეხსაცმლის ახალი მსროლელი ასევე ერაყელი ჟურნალისტი იყო, ოღონდ, ერაყის ფარგლებს გარეთ მცხოვრები. მან ზაიდი „ერაყის დიქტატურის სასარგებლოდ მუშაობაში“ დაადანაშაულა.

მუნთაძირ ზაიდიმ ფეხსაცმელი აიცდინა და ირონიულად შენიშნა, რომ თავდამსხმელმა მისი მეთოდი მიითვისა.

ფეხსაცმლის სროლის შემდეგ ზაიდის ძმა, რომელიც ასევე ესწრებოდა პრესკონფერენციას, თავდამსხმელს დაედევნა და შენობიდან გასვლისას მასაც ფეხსაცმელი ესროლა.

მუნთაძირ ზაიდიმ აშშ-ის 43-ე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ბაღდადში პრესკონფერენციის დროს წყალი ფეხსაცმელი ესროლა.

— ეს შენ, ძაღლო, გამოსათხოვარი კოცნა, — წამოიძახა ჟურნალისტმა არაბულად პრესკონფერენციის დროს, — ეს ქვრივების, ობლებისა, და ერაყში დაღუპულების სახელით.

ზაიდი უცხოელი ლიდერის შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს და ციხეში ერთი წელი გაატარებინეს, მაგრამ არაბულ სამყაროში იგი ნამდვილ გმირად შერაცხეს.

მიმდინარე წლის სექტემბერში ციხიდან გათავისუფლების შემდეგ ზაიდიმ თქვა, რომ ციხეში მას აწამებდნენ. პარიზში გამართული პრესკონფერენციის დროს ზაიდიმ განაცხადა, რომ მოგვიანებით მკურნალობის კურსი ჟენევაში გაიარა.

ჟურნალისტების შეკითხვის პასუხად, თუ როგორ აპირებდა იგი ციხეში ყოფნის დროს მრავალი ადამიანისაგან მიღებული ფულის დახარჯვას, გარდა ამისა, აპირებდა თუ არა გულისა და ხელის მრავალი შემთავაზების მიღებას, ზიდიმ განაცხადა, რომ მან თავისი ოჯახის წევრებს სთხოვა უარი ეთქვათ საჩუქრებზე მანამდე, სანამ ერაყელი ხალხისათვის მათი შესაძლებლობას არ გამონახავდა.

იპოვეს ფირი, რომელზეც მერილინ მონრო მარილხუანას ეწევა

ცოტა ხნის წინ აშშ-ში გაიყიდა შინ გადაღებული ვიდეოფირი, რომელზეც პოლივუდის ვარსკვლავი მერილინ მონრო მარილხუანას მოწევის დროს არის გადაღებული.

ნიუ ჯერსიში გადაღებული უხმო ფირი ადგილობრივმა კოლექციონერმა შეიძინა.

პიროვნებამ, რომელიც ფირი გადაიღო, რეიტერის სააგენტოს განუცხადა, რომ სიგარეტი, რომელსაც მერილინ მონრო კადრში ეწეოდა, მარილხუანას შეიცავდა.

ფილმის ავტორმა ვინაობის გამხელა არ ისურვა, კოლექციონერმა კეია მორგანმა მისი ფირი 275 ათას დოლარად შეიძინა. როგორც ვარაუდობენ, ფირი 1958-59 წლებშია გადაღებული და კადრში მსახიობი მეტად ბედნიერი და გაბარებული გამოიყურება. ამ დროისათვის მერილინ მონრო უკვე საკმაოდ პოპულარული იყო, მაგრამ ასეთი მხიარული იგი არავის უნახავს.

კეია მორგანი ისტორიული ფოტოსურათებსა და ხელნაწერებს აგროვებს, ამჟამად იგი მერილინ მონროს შესახებ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს.

მისთვის ამ ფირის არსებობის შესახებ ცნობილი გახდა და მისი მფლობელის ძებნას შეუდგა. ფირის ავტორს პირადი არქივი რამდენიმე სახლში ჰქონდა გაფანტული და ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთი სახლის სხვენში იპოვეს, სადაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ინახებოდა.

ანონიმმა ავტორმა განაცხადა, რომ კადრში აღბეჭდილი პირები მის მიერ მიტანილ მარიხუანას ეწეოდნენ და სიგარეტი ხელიდან ხელში გადადიოდა.

მერილინ მონრო 1962 წელს 36 წლის ასაკში გარდაიცვალა. მიმდინარე წლის აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ სასაფლაოზე მისი საფლავის ზემოთ მდებარე ადგილი 4.6 მილიონ დოლარად გაიყიდა. საფლავი მასში პირქვე, სახით მერილინ მონროსაკენ დაკრძალული მამაკაცის ქვრივმა ბევერლი ჰილზზე დაგირავებული სახლის გამოსასყიდად გაყიდა.

კლინტონების ერთადერთი ქალიშვილი ბავშვობის მეგობარზე დაინიშნა

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, ბილ კლინტონისა და ამჟამინდელი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის ქალიშვილი ჩელსი კლინტონი მეგობარ ვაჟზე დაინიშნა.

მისი რჩეული გახლავთ „გოლდენ საჩის“ თანამშრომელი ბანკირი მარკ მეზვინსკი. ისინი ერთმანეთს

პატარაობიდან იცნობენ. ბილ კლინტონის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ წყვილი გასულ კვირას, მადლიერების დღესასწაულის დროს დაინიშნა.

ამჟამად ჩელსი კლინტონი 29 წლისაა და კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობს. ნიშნობის შესახებ მომავალმა ცოლ-ქმარმა მეგობრებს ელექტრონული ფოსტით აცნობა.

სასიძოს მშობლები მარკოლის და ედ მეზვინსკები თავის დროზე კონგრესმენები იყვნენ და ისინი კლინტონების ოჯახის ახლო მეგობრებად ითვლებიან. 2002 წელს ედ მეზვინსკის ფინანსურ მაქინაციებში თავი დამნაშავედ ცნეს. ციხიდან იგი გასულ წელს გაათავისუფლეს.

მოამზადა ვეფხვი თვაურმა

ჯოსვოხელი



ვერტიკალი: 2. უძველესი ქართული სამეფო; 3. ტროპიკული ლერწამი, რომელისგანაც ამზადებენ საწერ მასალას ძველ ეგვიპტეში; 4. მცენარეთა გამოსაზრდელი სათბური; 5. ლხინი, დროსტარება; 6. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 14. მათემატიკის ნაწილი; 15. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 16. მასმედიის ერთ-ერთი საშუალება; 17. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 19. პრივილეგირებული მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 21. ფრანგი მწერალი; 22. ჩინური ფინიკი.

თარაზულად: 1. წყნარი ოკეანესპირა პოპულარული კურორტი მექსიკაში; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი ავი სული; 7. ალ.ყაზბეგის მოთხრობა; 9. ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი; 10. ოჯახის დედის სახელწოდება იტალიაში; 12. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. ძმიმეწონიანი ტვირთების გადასაზიდი მისაბმელიანი ავტომობილი; 17. ხერხემლის ძვალი; 18. აღმოსავლური ტკბილეული; 20. მეტროს სადგური თბილისში; 22. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 23. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 24. ზიარებისთვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი წითელი ღვინო; 25. საფოსტო ნიშანი.

შეადგინა თვალგინაშვილმა

ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხელების პასუხები:

კროსვორდი ა

ვერტიკალად: 1. გილდია; 2. ვიში; 3. გერიატრია; 4. შიუცი; 5. დარჯაკი; 8. ქიზიყი; 9. დარბაზობა; 12. ბაიათი; 14. ქორქია; 16. ომეგა.

თარაზულად: 1. გვირგვინი; 6. გეორგიკა; 7. ლელაშნი; 9. დელისი; 10. ჯიდა; 11. ჯიბგირი; 13. დაქსი; 15. კაზნენ; 17. ფაიზერი; 18. საირმე; 19. საცივი; 20. ფალანგა.

კროსვორდი ბ

ვერტიკალად: 2. არაბიკა; 3. რეიტინგი; 4. იმიგრაცია; 5. კომლი; 6. ესკიმო; 8. ჩაროზი; 11. ჰელიუმი; 14. იმპერატივი; 15. ვესტერნი; 16. ობლიგაცია; 17. კიუსიუ; 19. კარტეჩი; 21. კოლიო; 22. ფლორა.

თარაზულად: 1. ნატრიუმი; 5. კაფე; 7. ლაჩარი; 9. კაპიტოლიუმი; 10. კოპორტა; 12. ამილაზა; 13. ლიცლიცი; 16. ოსმალეთი; 17. კანა; 18. ოკაპი; 20. კარაბინი; 22. ფურმი; 23. სტაფილო; 24. ცირონი; 25. იგავი.

„ნევსკი ექსპრესის“ აფეთქებაში კავკასიურ კვალს ეძებენ

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენლების თქმით, ჩქარონსული მატარებლის „ნევსკი ექსპრესის“ მარშრუტზე მომხარი აფეთქება ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი მეამბოხეების ხელწერას ჰგავს.

სამთავრობო „რასიისკაია გაზეტას“ ინტერვიუში პროკურატურასთან არსებული ამ კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბასტრიკინმა განაცხადა, რომ მეორე აფეთქება მოხდა იმ მომენტში, როდესაც კატასტროფის ადგილას საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელი მივიდა.

სამშაბათისათვის ცნობილი გახდა, რომ მეორე აფეთქების შედეგად მატარებლის კატასტროფის ადგილას თავად ბასტრიკინი დაშავდა. სავარაუდოდ, მეორე ჭურვი დისტანციურად აამოქმედეს, მობილური ტელეფონის საშუალებით.

მეორე ბომბის აფეთქებასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ტერორიზმის ბრალდებებით.

აფეთქებასთან ჩრდილოეთკავკასიელი მეამბოხეების კავშირის ვერსია მაშინვე გავრცელდა. კერძოდ, გავრცელდა მონაცემები, რომლის მიხედვითაც გამოძიება წინა „ნევსკი ექსპრესის“ აფეთქების ეჭვმიტანილებით დაინტერესდა. პირველი მატარებლის აფეთქებაში ჩეჩენი მეამბოხე ისლამისტები დაადანაშაულეს.

იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ ფოტორობოტზე გამოსახულ პიროვნებას სლავური გარეგნობა აქვს.

ოთხშაბათს, დილით „კავკაზ ცენტრის“ ინტერნეტ საიტზე, რომელიც ჩეჩენი სეპარატისტების ტრიბუნად ითვლება, გამოქვეყნდა ანონიმი მოჯაჰედების წერილი, რომლებმაც „ნევსკი პროსპექტის“ აფეთქების პასუხისმგებლობა იტვირთეს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ტერაქტი რუსეთის სტრატეგიულ ობიექტებზე თავდასხმების ოპერაციის ფარგლებში განხორციელდა და აფეთქების შედეგად 30-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 80 დაშავდა.

რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები „ნევსკი პროსპექტთან“ მეამბოხეთა კავშირის განცხადების კომენტარის გარეშე ტოვებენ. იმავდროულად, ჩეჩნეთის შს სამინისტროს ეჭვი ეპარება, რომ უმაროს ჩეჩნეთში, ან რუსეთის სხვა რეგიონებში ტერაქტების განხორციელება შეუძლია.

ბოლო დროს იგი მთებში 16-19 წლის მოზარდების გადაბირებით არის დაკავებული, დაქსაქსული რაზმების მეთაურობა არ შეუძლია, რადგან კავშირზე გასვლისა ეშინია.

იმავდროულად, რუსული მედიის ცნობების თანახმად, აფეთქების პასუხისმგებლობა იტვირთეს აგრეთვე ულტრამარჯვენე რუსული ნაციონალისტური მოძრაობის „ქომბათ 18“-ის წარმომადგენლებმაც.

მანამდე „კავკაზ ცენტრში“ ისლამისტი მეამბოხეების საიანო-შუშენსკოეს ჰესის კატასტროფასთან კავშირის ცნობებიც გამოჩნდა, მაგრამ გამოძიების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ ჰიდროელექტროსადგურზე მომხდარი ტრაგედია ტექნოგენური მიზეზებით იყო გამოწვეული.

ამასთან დაკავშირებით ექსპერტები „ნევსკი პროსპექტთან“ ჩეჩენი მეამბოხეების კავშირის ვერსიით დაეჭვებასაც გამოხატავენ. ფედერაციის საბჭოს პირველმა ვიცე სპიკერმა ალექსანდრ ტროშინმა განაცხადა, რომ აფეთქების მიღმა უცნობი „ადგილობრივი დივერსანტები“ უნდა იდგნენ.

პოლიტკონსმა ასევე აღნიშნა, რომ ისლამისტი მეამბოხეებისათვის უფრო ადვილი იქნებოდა მატარებელში თვითმკვლელის აყვანა, მით უმეტეს, რომ მატარებლის მგზავრებს არავინ ამოწმებს.

გარდა ამისა, აფეთქება პარასკევს მოხდა, ნამაზის შემდგომ დროს, თანაც მუსლიმანთათვის წმინდა ყურბან-ბაირამის დღესასწაულის დროს, რაც რელიგიური ფანატიკოსისთვისაც მიუღებელი ქმედება იქნებოდა.

რუსეთის მილიციამ მატარებლების თანხლება გააძლიერა, მათ შორის მოსკოვ-სანკტ-პეტერბურგის მიმართულებით. გაძლიერდა აგრეთვე ვაგზლებისა და ვაგზლის მიმდებარე მოედნების დაცვა.

პოლიცია ვარშაველ სნაიპერს ეძებს

პოლონელი პოლიციელები ეძებენ დამნაშავეს, რომელიც ნოემბრის განმავლობაში დედაქალაქ ვარშავის ქუჩებში ტრანსპორტს ესროდა. ე.წ. ვარშაველი სნაიპერი ტრანსპორტს მხოლოდ და მხოლოდ ორშაბათობით ესხმოდა. არიან დაზარალებული.

პოლიცია ამ მოუხელთებელი სნაიპერის არსებობას დადასტურებას ჯერ-ჯერობით არ ჩქარობს. თუმცა, პრესა მისი ვინაობით უკვე დაინტერესდა. წინასწარი მონაცემების თანახმად, სნაიპერმა 8 ავტომობილი დააზიანა.

საქალაქო ტრანსპორტზე თავდასხმისათვის იგი მსუბუქ ტრავმატულ იარაღს იყენებს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ რაღაც გაურკვეველი მიზეზის გამო სნაიპერი „სანადიროდ“ მხოლოდ ორშაბათობით გამოდის.

ასე მაგალითად, 9 ნოემბერს სნაიპერს 8 სააათის შემდეგ უცნობმა დამნაშავემ ორ სამიზნეს ორ-ორჯერ ესროლა და ორი ავტომობილი დააზიანა. 23 ნოემბერს, პიკის საათის დროს მან კიდევ სამი ავტობუსი დააზიანა.

უკანასკნელი შემთხვევა 30 ნოემბერს მოხდა. სროლის შედეგად მსუბუქად დაშავდა ავტომობილის მძღოლი.

ის, რომ ვარშაველი სნაიპერის მოქმედების შედეგად ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ადამიანი დაზარალდა, ხელისუფლებს ნამდვილ სასწაულად მიაჩნიათ. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ სნაიპერი მგზავრებს, მძღოლებს და კონტროლიორებს თავში უმიზნებს. სროლის ინტენსივობა მოწმობს, რომ დამნაშავე ავტომატურ ზნეზე მატარებლებს ესროლეს.

ვარშავის პოლიციის შეფმა ადამ მულარზმა უკვე შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც „ქალაქის ტრანსპორტთან მებრძოლს“ კვალში ჩადგება. პოლიციელების თქმით, სნაიპერს ეძებენ, მაგრამ ოფიციალურად ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

ვარშავის კომენდანტის, მარტინ შინდლერის თქმით, შექმნილ ჯგუფში სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებიც არიან.

ჯერჯერობით ავტობუსებისათვის სროლის ფაქტს ადასტურებენ. ისინი ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ გასროლის ხმის შემდეგ მინის მსხვრევის ხმა გაიგონეს. პოლიციელებმა გარდა ამისა, ავტოტრანსპორტის ძარებზე ჩაჭყლეტილი ადგილებიც აღმოაჩინეს.

პოლიციელები არ გამორიცხავენ, რომ ტრანსპორტისათვის იარაღიდან სროლა უცნობი ხულიგნების სულელური გართობაა. მათი თქმით, კონკრეტულად სროლის მომენტი არავის დაუნახავს, მხოლოდ ერთი მძღოლი აცხადებს, რომ მისი აზრით, ქუჩაში ავტომობილიდან ესროლეს, მაგრამ სიბნელეში ვერც მარკა და ვერც ნომერი ვერ გაარჩია.

სექტემბერში ანალოგიური ინციდენტი ქალაქ რიგაში მოხდა. მაშინ გაჩერებასთან მისულ ტროლეიბუსს მოულოდნელად ერთ-ერთი გვერდით მინა ჩაემსხვრა. შემდეგ საქარე მინაზე გაჩნდა ნახვრეტები.

რამდენიმე მგზავრი ნამსხვრევებით დაშავდა, ერთ-ერთი ქალი საავადმყოფოში მიასვენა გახდა.

მოგვიანებით დააკავეს ორი ეჭვმიტანილი. ისინი მცირეწლოვანი ნარკომანები აღმოჩნდნენ.

ეგვიპტის უნივერსიტეტმა სტუდენტ გოგონებს სესიის დროს ნიქაბის ტარება აუკრძალა

ეგვიპტის ერთ-ერთი უდიდესი უნივერსიტეტის, „აინ შამსის“ ხელმძღვანელობამ სტუდენტ გოგონებს შამორის საგამოცდო სესიის დროს, რომელიც მომავალი წლის 23 იანვრიდან იწყება, უნივერსიტეტში ნიქაბებით მოსვლა აუკრძალა.

განკარგულება უნივერსიტეტის რექტორმა აამედ ზაქი ბადრმა გასცა. ეს აკრძალვა გარდა ყველა ფაკულტეტის და კურსის სტუდენტი გოგონებისა, უნივერსიტეტის მასწავლებელ და სხვა თანამშრომელ ქალებსაც ეხებათ.

„აინ შამსი“ ეგვიპტის მეორე უმაღლესი სასწავლებელია, რომელშაც უნივერსიტეტში ქალის მუსლიმანური თავსაბურავების ტარება აკრძალა. მიმდინარე წლის ოქტომბერში მსოფლიოში უდიდესი ისლამური უნივერსიტეტის „ალ აზჰარის“ ადმინისტრაციამ აუდიტორიებში, სადაც მხოლოდ ქალები იმყოფებიან, აგრეთვე ქალთა საერთო საცხოვრებლებში ნიქაბის ტარება აკრძალა.

აკრძალვას წინ უსწრებდა ალ აზჰარის ხელმძღვანელის, შეიხ მუჰამედ სეიდ ტანტაუის მკვეთრი გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ ნიქაბს რელიგიასთან არავითარი კავშირი არ გააჩნია და ეგვიპტის საზოგადოებისათვის უცხო ტრადიციას წარმოადგენს.

სუნიტური სამყაროს ყველაზე სახელოვანი რელიგიური დაწესებულების ხელმძღვანელმა ეს გადაწყვეტილება რამდენიმე რელიგიური სასწავლებლის მონახულების შემდეგ მიიღო.

ტანტაუის თქმით, ნიქაბისტვ არების ტრადიციას ისლამთან და ისლამით განსაზღვრულ რელიგიურ ვალდებულებებთან საერთო არაფერი აქვს.

ტანტაუის ფატვამ ეგვიპტელი ისლამისტების აღშფოთება გამოიწვია. მათი აზრით, ტანტაუის ნიქაბის აკრძალვის უფლებამოსილება არ გააჩნდა და ჩადრის ტარების საკითხი თითოეული სტუდენტი ქალის გადასაწყვეტია.

ნიქაბის შესახებ ეგვიპტეში დიდი ხანია კამათობენ. მუსლიმანების უმეტესობა ჰიჯაბს, თავსაფარს ატარებს, რომელიც თმას ფარავს, მაგრამ სახეს ღიას ტოვებს. იმავდროულად, ბოლო დროს ეგვიპტეში გაიზარდა ქალების რიცხვი, რომელიც ნიქაბით გამოდის ქუჩაში.

ნიქაბი მუსლიმანური თავსაბურავია, რომელიც სახეს ფარავს და თვალებისათვის ვიწრო ჭრილი აქვს. რგორც წესი, მას მუქი ფერის ქსოვილისაგან ამადებენ.

ნიქაბი სხვა ქვეყნების მუსლიმანური თავსაბურავებისაგან, შუააზიური, ან ავღანური და ირანული ჩადრებისაგან განსხვავდება. მარტივი ნიქაბი შუბლზე დამაგრებული თასმაა, რომელზეც ორი მარტკუთხა ქსოვილი მაგრდება, ერთი სახეს ფარავს ისე, რომ თვალებისათვის ჭრილს ტოვებს, მეორე — თმას.

გარდა ამისა, ხშირად შუბლზე დამაგრებულ თასმას გამჭვირვალე პირბადესაც უმატებენ, რომელიც თვალებზეა ჩამოფარებული.

გავრცელებული აზრის თანახმად, თავსაბურავის ტარება, რომელიც ქალის სახეს მთლიანად ფარავს, ისლამით არის ნებადართული. მიუხედავად ამისა, ცნობილი ეგვიპტელი თეოლოგის, იუსუფ ქარდავის თქმით, ნიქაბის ტარება აუცილებელი არასდროს ყოფილა. ასე მაგალითად, ვოლგაზე მცხოვრებ თათრებში, რომლებმაც ისლამი X საუკუნეში მიიღეს, ნიქაბის, ჩადრის ან სახის დამფარავი რაიმე სხვა ქსოვილის ტარების ტრადიცია არ არსებობდა.

აჰმადინეჟადს გაეროს სანქციები არაეფექტურად მიაჩნია

ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა განაცხადა, რომ ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების დაწესება შეიდეს არ გამოიღებს და გააკირატივა ის ქვეყნები, რომლებმაც გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ ირანთან დაკავშირებულ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს.

აჰმადინეჟადის თქმით, სანქციების საშუალებით ირანს ბირთვული პროგრამის უარყოფას ვერ აიძულებენ. გარდა ამისა, მან ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ საომარი მოქმედებებიც გამორიცხა.

ირანის მიერ ურანის გამმდიდრებელი ათი ახალი სწარმოს მშენებლობის გადაწყვეტილებას დასავლეთის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

ირანის პრეზიდენტის თქმით, დასავლეთის ქვეყნები, მათ შორის, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, რომელსაც შემდეგ რუსეთიც შეუერთდა, ირანს გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებს.

„ნებისმიერი თითი, რომელიც სახლეულის გამოკვრას შეეცდება, მოკვეთილი იქნება“ — განაცხადა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა და აღნიშნა, რომ გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გაფრთხილება თეირანთან დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის თანამშრომლების შეწყვეტის შესახებ საკითხებ მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური ომია.

ირანის პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ირანის მთავრობამ უკვე ურანის გამამდიდრებელი ახალი საწარმოების მშენებლობის გადაწყვეტილება მიიღო.

მოამზადა გვანცა თვაურმა

TV პროგრამა

ხუთშაბათი 3 დეკემბერი

07.00 ჩვენი დილა **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. **"ელიზას ჯალიფ-ვილი"** **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება– სპორტი: თასი **1976** წლის **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "მე-2 მსოფლიო ომი, დაბრუნულ კარს მიღმა" **19.05** მეხსიერება – ფ. "ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"აჯენტის სახე"** **22.00** დიალოგი **23.00** სერ. **"სულეგთან მოგზაურობა"** (**12**) **00.00** ღამის ჩვენება მაყურებელთა შეხედულებით:

ა) მხ. ფილმი **"აჯენტოზები და მფლრები"** (**18**)

ბ) მხ. ფილმი **"კალაბაზრდოვნის დღიური"** (**18**) (ლ. და კაპრიო)

11.00 პარალმენტი **19.00** ან. ფილმი "პიტი და კენჭროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერ. "ფილიპის ფილოსოფია" **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"პირისპირ"** **22.00** სერ. **"აჯენტის სახე"** **23.00** სერ. **"სულეგთან მოგზაურობა"** **23.50** მხ. ფილმი **"საფრანი ტრანსპორტი"** (12)

07.30 დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შარისაძივის ცეცხლები"** **11.00** ვის უნდა **20** ათასი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** ჟურნალი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-ჟურნალი **14.00** სერ. **"უფროსილები ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოცნება"** **15.50** სერ. **"ვალის კანალი"** **16.50** სერ. **"დენ ჰუვნი და ლაბაზანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოცნება"** **19.00** სერ. **"დამე ყველაფრისა"** **19.50** სერ. **"აბსელის საიდუმლო"** **22.00** პრემიერა **23.40** სერ. **"ქიმიი პაუნი"** **00.40** პატრული **01.00** მხ. ფილმი **"ვალის დანაშაული"** (**18**) (დ. კოტონი)

08.00 მულტფილმი "კონანი" **09.00** სერ. **"მარია ეფილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ბუნაები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"მარტოხელა მტრედის ფაბარნება"** **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერ. **"ბუნაები"** **19.00** სერ. **"ნანინო ვეტრინე"** **20.00** ზღაპარაფო **20.15** ეკატერინა **21.25** ვიქტორინა "ქიშ შოუ" **22.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **23.30** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მ-კოდი **01.00** მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ოთმაგი ოსმაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. **"კლინიკა"** **13.00** სერ. **"მარადიული გრანდობა"** **15.00** ნანუკას შოუ (განხ.) **16.00** სერ. **"გაბრისებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. **"სიყვარულის აბრდილი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრანდობა"** **21.00** სერ. **"გაბრისებული ანგელოზი"** **22.00** მხ. ფილმი **"ყოველის-შემძლე ბრიუსი"** (U) **00.00** სერ. **"სანდრა პაოლას კლანი"** **01.00** მხ. ფილმი **"დებალული სიმკრთლე"** (**12**) **03.15** ქრონიკა **03.30** სერ. **"კლინი"**

08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" **08.15** მულტფილმი **09.00** მხ. ფ. **"მეამე სამეფო"** **10.30, 19.30** სერ. **"სამოთხის კუთხეები"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ფარცხებში"** **12.45** მხ.ფ.**"გამოცანი ვინ არის"** **14.50** "სცენა" **15.20** მხ. ფილმი **"გეყოფა"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** მხ. ფილმი **"ტრისტანი და იზოლდა"** **00.45** მხ. ფილმი **"ჩემი ცოლი განგსტერია"**

ერთსულოვნება **09.10** დილის

პროგრამა "განთიადი" **10.30** გადაცემა "პერსპექტივა" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შეიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"ბარბარა და გრეგი"** **1**-ლი ს. **13.20** კონცერტი **15.10** მულტსერ. "კეროტის თავგადასავალი" **15.35** მხ. ფილმი **"იმედრული ბაკშვები"** **17.00** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.30** ტრაპეზი **18.05** ჩვენ ვუყურებთ კლასიკას **18.30** საბ. არქივიდან **19.15** მხ. ფილმი **"ბარბარა და გრეგი"** მე-2 ს. **20.35** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მიწაოთმოქმედი **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. სერ. "საბჭოთა საქართველო" მე-6ს.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფორზარის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

საქართველოს ეროვნული ბანკის 2009 წლის 3 დეკემბრის ღარის მიმართ უცხოური ვალუტის შეფდები კურსი დაუფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,6825

ევრო — 2,4035

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536

რუსული რუბლი — 0,0533

ამინდის პროგნოზი 3 დეკემბრისთვის

ალმოსავლეთ საქართველოში: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 5-6, ღამით — -4-2

დასავლეთ საქართველოში: ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15-29, ღამით — 5-8

სამხრეთ საქართველოში: ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — -1-2, ღამით — -14-9

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო"

უეგარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისვეტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ღორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

ქართული ძიუდოს ბედი ქუთაისში გადაწყდება

ამ კვირის ბოლოს ქართული ძიუდოს სამყაროში ბევრი რამ უნდა გაირკვეს. 5-6 დეკემბერს ქუთაისში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება და პარალელურად რიგგარეშე ყრილობა და სპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. რიგგარეშე არჩევნები საქართველოს ნაკრების მწვრთნელის, შოთა ხაბარელის განთავისუფლების გამო ნაკრებთან გაბუტულმა ძიუდოისტთა ჯგუფმა მოითხოვა, რომელთა შორის ბევრი ტატულოსანი სპორტსმენი იყო. მათი ეს მოთხოვნა ხანგრძლივი დიალოგის შემდეგ დაკმაყოფილებული იქნა.

თავდაპირველად არჩევნები 21 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო გადაიდო და ქუთაისში აუცილებლად ჩატარდება. კულუარულად უკვე ცნობილია, რა მოხდება ამ არჩევნების შედეგად — პრეზიდენტის პოსტს შეინარჩუნებს დილარ ხაბულიანი, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თვით და ამასთან, არ ექნება საპრეზიდენტო ძალაუფლება. უბრალოდ, მისი ასე პირდაპირ განთავისუფლება „არ შეიძლებოდა". საზაგიეროდ, პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს დატოვებს დავით ბერძენიშვილი, რომლის გვარი ბოლო დროს ძიუდოს სამყაროში არც თუ სასიამოვნოდ დატრიალებულ ამბებში ცუდად მოიხსენიებოდა. მის ადგილს გიორგი ალექსიძე დაიკავებს, რომელიც პრაქტიკულად წაიყვანს ძიუდოს ფედერაციის საქმეებს.

თუმცა, ჩნდება კიდევ ერთი მაგრამ... რატომ გადაწყვიტეს საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება ქუთაისში? ერთი ვერსიით, იმერეთში ჩასვლა გაუჭირდებათ ჟურნალისტებს, რაც სავარაუდოდ, მეტი თავისუფლების შესაძლებლობას მისცემს ორგანიზატორებსა და მსაჯებს. საქმე ის არის, რომ ქუთაისში გამართულმა ჩემპიონატმა, რომელშიც ყველა წამყვანმა ძიუდოისტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, საქართველოს ნაკრები უნდა დაკომპლექტოს და ადგილი

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ვიაჩესლავ ტიხონოვი საავადმყოფოში მოხვდა

ცნობილი რუსი მსახიობი ვიაჩესლავ ტიხონოვი გასულ შაბათს მოსკოვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში



მიიყვანეს. ექიმების შეფასებით, მისი მდგომარეობა სტაბილურია.

მსახიობის ქალიშვილის, ანა ტიხონოვას თქმით, მსახიობი თავს კარგად გრძნობს, გონზეა და საკმაოდ ხანგრძლივი მკურნალობის კურსის გავლა მოუწევს.

მანამდე რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ტიხონოვმა ინფარქტი გადაიტანა, მაგრამ მისი ქალიშვილის თქმით, „ინფარქტი მთლად ზუსტი დიაგნოზი არ არის".

ვიაჩესლავ ტიხონოვმა ინფარქტი 2002 წელს გადაიტანა, გასული წლის თებერვალში კი 80 წლის იუბილეს წინ ვიაჩესლავ ტიხონოვი ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მუცლის არეში ტკივილებზე ჩივილით მიიყვანეს. დაბადების დღე, 8 თებერვალი მან საავადმყოფოში აღნიშნა, მარტში კი არცთუ რთული ოპერაცია გაუკეთეს.

მანამდე, 2007 წლის მაისში ვიაჩესლავ ტიხონოვი რუსეთის დედაქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში აგარაკზე უბერხულად დაცემის შემდეგ მიიყვანეს. სახლში ყოფნის დროს მას ფეხი დაუცურდა და მბკივნეულად დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი ტკივილები აწუხებდა, მეუღლეს მხოლოდ მეორე დღეს დაურეკა და მან ქმართან მაშინვე სასწრაფოს გამოუძახა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მედიკოსებმა სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია მოითხოვეს, რადგან შიშობდნენ, რომ ცნობილ პაციენტს ბარძაყის ძვლის თავი ჰქონდა მოტეხილი. გამოკვლევებმა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

თინა კანდელაკი წლის ქალია

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ტელეწამყვანი თინა კანდელაკი მოსკოვში „წლის ქალად" აღიარეს. ეს წოდება მან ქსენია სობჩაკთან ერთად გაიყო.

მოსკოვში, ჟურნალ „გლამურის" პრემიების გაცემის ტრადიციულ ცერემონიალზე რუსულ ბომონდს საუცხოო დახვედრა მოუწყვეს. წელს ნომინაციების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ყველაზე მთავარი კი მაინც „წლის ქალის" ტიტულის მფლობელის გამოვლენა იყო. ორგანიზატორებმა ნომინაციაზე ორი ტელეწამყვანი — თინა კანდელაკი და ქსენია სობჩაკი წარადგინეს.

წითელ ხალიჩაზე ჩავლილმა სტუმრებმა ძვირფასი კაბებით, კოსტიუმებითა და ბრილიანტების ბრწყინვალებით ისე

გაგრძელება მე-8 გვერდზე



იუმორი

***

— ნებისმიერი ადამიანი ლამაზია, ოღონდ ზოგი ამაში სხვებას ვერ ახერხებს...

***

— ჯოჯოხეთის წარმოდგენა უფრო ადვილი იქნება, თუკი კუპრის მოთუხთუხე ქვაბების ნაცვლად სტომატოლოგის კაბინეტს წარმოვიდგენთ...

***

— და ბოლოს, სპორტის სიახლენი, არაზუსტად გაყვანილი ტრასა ბიატლონისტებისა და მესაზღვრეების შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი გახდა...

***

— კუდუსუნი რა არის?

— ადგილი, სადაც ხერხემალი თავდება.

— უცნაურია, მაგ ადგილას მე თავი მაქვს...

***

— ძვირფასო, გამორთე ტელევიზორი, — ნამძინარევი ხმით ამბობს ქმარი.

— არ შემიძლია, კინოთეატრში ვართ...

***

ორი დაბოლილი ტიპი კინოთეატრში ზის. შუქი ნელნელა ქრება.

ერთი მეორეს ეკითხება:

— კი მაგრამ, ასე ნელა რატომ ქრება?

მეორე პასუხობს:

— რატომ და წარმოიდგინე, შედის მექანიკოსი თავის ოთახში და ნელ-ნელა აძრობს შტეფსელს ბუდიდან...

გთ.

ყველამ გაითვალისწინეთ! არ აჩქარდეთ

ასტროპროგნოზი 3 დეკემბრისთვის

ვერძი — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ხარი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — პოზიტიური დღეა, თქვენს საქმე კარგად მიდის. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — მშვენიერი დღეა, იაქტიურეთ. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვილაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ, არ გარისკოთ. **ვერცხლი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ყველაფერი კარგად იქნება. **თევზები** — ყველა სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ, ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხვოხელი ›



ᲖᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. სამწვადედ ასაგები ხორცის ნაჭერი; 2. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 3. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 4. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 5. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 9. მუზეუმი ბერლინში; 12. მხატვრის ფუნჯი; 14. სტადიონი მეხიკოში; 16. დიპლომატიური წარმომადგენელი.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში; 6. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 9. გერმანული იმპერია; 10. მაღალი განმავალობის მსუბუქი ავტომობილი; 11. შორეული ნათესაობის, დიდი საოკეანო სამგზავრო გემი; 13. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 15. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგრისის სამეფოს ნაწილი; 17. გადაშენებული გიგანტური სპილო; 18. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 19. ქალაქი სან-ფრანცისკოს მახლობლად სამეცნიერო და საუნივერსიტეტო ცენტრი; 20. ოსტატის მოწაფე.

შეადგინა ო.კოპალეიშვილმა

მოქმედება თუ განსჯა

1. მოგწონთ, როდესაც საქმით ხართ დაკავებული?
2. გაღიზიანებთ საცობები გზებზე და ნელი მგზავრობა?
3. ხშირად თუ იჩქარით ერთი ადგილიდან მეორისკენ, ერთი სამსახურიდან მეორისკენ?
4. არ გსიამოვნებთ, როდესაც გულხელდაკრეფილი ჯდომა გიხდებათ?
5. თვითმხილველობას მონაწილეობა გირჩევნიათ?
6. თუ გიჩივიან, რომ ყველაფერს ძალიან სწრაფად აკეთებთ?
7. თუ სარგებლობთ კიბით, როდესაც ლიფტი იგვიანებს, თქვენ კი გეჩქარებათ?
8. მოგწონთ ორგანიზატორული საქმიანობა?
9. თუ გიფიქრიათ ოდესმე, საიდან და რატომ გაჩნდა ადამიანი? დადებითი პასუხების მიხედვით.

პასუხები

0-3 ქულა: თქვენ მეოცნებე ხართ, მაშინაც კი, როდესაც მოქმედება არის საჭირო, ან ყველაფერი ნათელია, მაინც ფიქრს და განსჯას იწყებთ. არ შეგიძლიათ უბრალოდ საქმე კეთება, თან რაღაცაზე უნდა იფიქროთ.

4-6 ქულა: სიტუაციის მიხედვით, ხან მოქმედებისთვის ხართ მზად, ხან ფიქრისთვის. ურო მეტიც, ასეთი ზომიერი შეხამება პრაქტიკულად ნებისმიერ სიტუაციასთან შეგუების და „მორგების" შესაძლებლობას გაძლევთ.

7-9 ქულა: განსჯას მოქმედებას ამჯობინებთ, მიგაჩნიათ, რომ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებას აქტიური მოქმედება წარმოადგენს. თქვენს მჭიდროდ ბუნებას ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ ხანდახან სიტუაციის გაანალიზებაც არის საჭირო.

მოამზადა გვანდა თვაურამა